პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 63 (10149)

ოთხშაბათი, 16 მარტი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იტალიის რესპუბლიკის ელჩი მარიო დი სტეფანო (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

მთელი ძალები საკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის! — **სიმინდი ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურაა** (მე-2 გვერდი).

გ. ძნელაძე. — ერთი დღე თბილისის [illegible] (მე-2 გვერდი).

ა. ჭიკინაძე. — ავტოტრანსპორტის [illegible] შაობისათვის (მე-3 გვერდი).

მოგზარეებელთა უკეთ მომსახურებისათვის. — თბილკვებგაჭრობამ მუშაობა უნდა გარდაქმნას (მე-3 გვერდი).

ვ. დოხნაძე. — ოჩამჩირის რაიონში (მე-3 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებანი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშენებელთა ღირსების საქმე

 კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მეტად პასუხსაგები ამოცანები დაუსახეს ჩვენს მშენებლებსა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს: მათ უნდა მიაღწიონ სამშენებლო სამუშაოთა ვადების საგრძნობლად შემჭიდროებას, გეგმების კალენდარულად შესრულების უზრუნველყოფას, ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას დანიშნულ დროზე და მშენებლობის ხარისხის ამაღლებასთან ერთად მისი თვითღირებულების შემცირებას.

ამ ამოცანათა შესასრულებლად საჭიროა მშენებლებმა გადაჭრით გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მასობრივად გადავიდნენ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე.

პარტიისა და მთავრობის მიერ მშენებლების წინაშე დასახული ამ დიდი ამოცანების შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გასული წლის ბოლოს მოსკოვში შემდგარ მშენებელთა საკავშირო თათბირს, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო საქმის შემდგომი სწრაფი აღმავლობის პრაქტიკული გზები.

ეს გზებია სახლებისა და ნაგებობების მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, დეტალებისა და საკედლე ბლოკების ფართოდ გამოყენება, სამშენებლო ტექნიკის სრული სიმძლავრეების ათვისება და სამშენებლო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია, სამშენებლო სამუშაოთა რაციონალური ორგანიზაცია და საკვირაო-სადღეღამისო გრაფიკით მუშაობაზე გადასვლა, დაპროექტების საქმის გაუმჯობესება და მშენებლობათა უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი ტიპური პროექტებით, სტანდარტული სამშენებლო კონსტრუქციებით, დეტალებით.

მშენებელთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვამ სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებში და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივებში. ამის შედეგია, რომ წელს საქართველოს მშენებლებმა, აგრეთვე სამენ მასალათა მრეწველობის საწარმოების კოლექტივებმა გაცილებით უკეთესად დაიწყეს ახალი სამეურნეო წლის პროგრამების შესრულება, ახლა უფრო ორგანიზებულად და გამართულად მუშაობენ, ვიდრე წინათ.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებენ ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის სწრაფი განვითარების საქმის. ჩვენნა დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ისევ ხშირია მშენებლებისათვის ისეთი პროექტების გადაცემის შემთხვევები, რომლებიც არ შეეფერებიან შენობებისა და ნაგებობების ეკონომიურობის მოთხოვნებს, არ ითვალისწინებენ ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებას.

წელს საქართველოში უნდა აშენდეს ასობით ახალი მრავალბინიანი სახლი. მარტო რესპუბლიკური დაქვემდებარების უწყებათა ხაზით წლევანდელი გეგმა ითვალისწინებს 61.933 კვადრატული მეტრი ფართობის ახალი საცხოვრებელი ფონდის აგებას. დიდი მასშტაბის საბინაო მშენებლობაა გათვალისწინებული თბილისში, აგრეთვე რუსთავში, მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში. მშენებლებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, უწინარეს ყოვლისა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ მათ წინაშე დასახული ამოცანების სირთულე, მხედველობაში მიიღონ შარშანდელი გაკვეთილები და ყველა ღონისძიებით უზრუნველყონ სამშენებლო გეგმების პირნათლად შესრულება. საჭიროა ამ სამინისტრომ დააჩქაროს მასობრივი მშენებლობის ერთიანი კატალოგისა და შესაბამისი ალბომების მიღება და გამოყენების დაწყება, ვინაიდან უამისოდ ფერხდება მშენებლობის ტიპიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის განხორციელება.

შარშან რესპუბლიკური უწყებების ხაზით საბინაო მშენებლობის გეგმა ვერ შესრულდა. მშენებლებმა რესპუბლიკას 29.147 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლეს. მათი ღირსებისა და სახვლის საქმეა თავი მოუყარონ მთელ რესურსებს დაწყებული ობიექტების დასამთავრებლად და რესპუბლიკის მშრომელებს მისცენ არა მარტო ის საცხოვრებელი ფართობი, რომელიც წლევანდელი გეგმით არის გათვალისწინებული, არაადამატებითი ფართობიც გასული წლის დავალიანების დასაფარავად.

ამისათვის საჭიროა მშენებლები მასობრივად გადავიდნენ საკვირაო და სადღეღამისო გრაფიკით მუშაობაზე, რაც უზრუნველყოფს წესრიგს სამშენებლო მოედანზე, უფრო ფართოდ განახორციელონ შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, მოაწყონ ნაკადურად მუშაობა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშაობის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვას, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დიდი ბლოკების აწყობისა და მონტაჟის დარგში ჩჰაროსან მშენებელთა გამოცდილების განზოგადებას. შენობათა მოპირკეთების სამუშაოები, როგორც ცნობილია, ყველაზე შრომატევადია. თბილისელმა კალატოზმა ამხ. ა. იამანიძემ მოახერხა შენობათა მოსაპირკეთებელი ქვების დამუშავება ჩვეულებრივი სახარატო ჩარხით ისე, რომ ეს ქვა შემდგომ გათლას აღარ საჭიროებს და უშუალოდ იგზავნება მშენებლობაზე. სამწუხაროდ, ეს სიახლე, რაც ერთიათად ზრდის კალატოზთა შრომის ნაყოფიერებას, ჯერჯერობით მასობრივად არ არის დანერგილი.

მშენებლებმა იციან, რომ შენობის კედლების ამოყვანა, გადახურვა და კარ-ფანჯრების გაწყობა საქმის მხოლოდ ნახევარია. დიდი დრო და შრომა მიაქვს შენობის შიგნითა მოწყობას, განსაკუთრებით შელესვას. მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის მშენებლები ამჟამად წარმატებით იყენებენ ე. წ. „მშრალ“ ბათქაშს ანუ საბათქაშე ფურცლებს, რომლებსაც საქარხნო წესით ამზადებენ. „მშრალი“ ბათქაშის გამოყენებაში მიღებული გამოცდილების ჩვენში გადმოტანა საჭარო და სასწრაფო საქმეა. იგივე უნდა ითქვას შენობებში სამღებრო სამუშაოთა შესრულების ახალი მეთოდების შესახებაც.

გადმოვიღოთ ყოველივე ის, რაც კარგი აქვთ სხვებს, გავავრცელოთ მშენებელ ნოვატორთა გამოცდილება, მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება ყველა სამშენებლო ობიექტზე და მშენებელთა ყველა კოლექტივს შორის, ნუ დავაყოვნებთ ტიპური პროექტებით მშენებლობაზე გადასვლას და ნუ ავარიდებთ თავს ძირითად საშენ მასალათა სრულფასოვანი შემცვლელების გამოყენებას — ასეთია მშენებელთა გადაუდებელი ამოცანები.

უკვე დადგა გაზაფხული — მშენებლობის სრული მოცულობით გაშლისა და მშენებელთა მაღალნაყოფიერი შრომისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი, როდესაც ჩვენმა მშენებლებმა უნდა უზრუნველყონ მუშაობა-ში მაღალი ტემპის აღება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური პროგრამის შესრულებისათვის მყარი საფუძვლის ჩაყრა.

ამას მოითხოვენ ახლა მშენებლებისაგან კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ამას მოითხოვს მათგან საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები.

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო

იტალიის რესპუბლიკის ელჩი მარიო დი სტეფანო

15 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მარიო დი სტეფანო. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ვ. გორუშკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. ი. ვ. გორუშკინის დაბადების მეორმოცდაათე წლისთავის გამო და მისი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აღსანიშნავად, ამხ. ივანე ვასილის-ძე **გორუშკინი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 14 მარტი.

საბჭოთა საქართველოს დღე

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 მარტის ცნობებით)

ხორბლეულის თესვა

რესპუბლიკაში საგაზაფხულო ხორბლეული დათესილია 12.839 ჰექტარი, გეგმის 4,1 პროცენტი.

ხაშურის რაიონში ხორბლეულის თესვის გეგმა შესრულებულია 4,3 პროცენტით, ქარელის — 8,6, გორის — 7,8, კასპის — 18,5, წალკის — 0.5, დუშეთის — 9,8, თეთრი წყაროს — 4,8, კაჩრეთის — 10,3, სიღნაღის — 33,6, წითელწყაროს — 42,7, თელავის — 0,4, ახმეტის — 15,5, ყვარლის — 13,8, ლაგოდეხის — 7,3, გარეუბნის — 47,7, მცხეთის — 37,2, ბოლნისის — 12, საგარეჯოს — 33,8, წყალტუბოს რაიონში — 1,9, საბნრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 16,2 პროცენტით.

კარტოფილის რგვა

სულ რესპუბლიკაში კარტოფილი დარგულია 795 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად 300 ჰექტარი.

გურჯაანის რაიონს კარტოფილის რგვის გეგმა შესრულებული აქვს 82,5 პროცენტით, კაჩრეთის — 60,8, სიღნაღის — 54,4, წითელწყაროს — 11,3, თელავის — 18.6, ახმეტის—48,3, ყვარლის — 46,7, ლაგოდეხის — 82, გარეუბნის — 4,5, მცხეთის — 36,7, გარდაბნის — 69, მარნეულის — 31,7, ბოლნისის — 29,1, საგარეჯოს — 21,1, ხაშურის — 3,1, ქარელის — 0,4, გორის — 3,1, თეთრი წყაროს რაიონს — 3,1, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას — 7,3, აჭარის ასს რესპუბლიკას — 0,1, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 0,5 პროცენტით.

მზესუმზირას თესვა

რესპუბლიკაში მზესუმზირა დათესილია 5.502 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად 3.336 ჰექტარი. შარშან ამ დროისათვის დათესილი იყო 228 ჰექტარი, კვადრატულ-ბუდობრივად კი არც ერთი ჰექტარი.

თეთრი წყაროს რაიონში მზესუმზირას თესვის გეგმა შესრულებულია 37 პროცენტით, გურჯაანის — 51,8, კაჩრეთის — 30,4, სიღნაღის — 23,2, წითელწყაროს — 40, თელავის — 36,3, ახმეტის — 84,1, ყვარლის — 60,3, გარეუბნის — 65,9, საგარეჯოს რაიონში — 5,2 პროცენტით.

საქაღალდე კულტურების თესვა

სულ რესპუბლიკაში საქაღალდე კულტურები დათესილია 3.317 ჰექტარი. შარშან ამ დროისათვის დათესილი იყო 464 ჰექტარი.

ქარელის რაიონში საქაღალდე კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 3,7 პროცენტით, ხაშურის — 0,4, გორის — 2,2, კასპის — 2,7, დუშეთის — 0,2, თეთრი წყაროს —0,7, გურჯაანის — 10,4, კაჩრეთის — 4,1, სიღნაღის — 7,7, წითელწყაროს — 8,4, ახმეტის — 6,9, თელავის — 2, ყვარლის — 13,5, ლაგოდეხის — 1,2, გარეუბნის — 20,3, მცხეთის — 12,1, გარდაბნის — 1,4, მარნეულის — 1,4, ბოლნისის— 2, საგარეჯოს რაიონში — 12,9, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 0,4 პროცენტით.

მზადება საკურორტო სეზონისათვის

დაიწყო მზადება საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი კურორტების კეთილმოწყობა. კაპიტალური რემონტი უკეთდება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შენობებს, სამკურნალო დაწესებულებებს, მათს ტერიტორიებს, მისასვლელ გზებს, წყალსადენებს, ელექტროსადგურებსა და სხვ. კურორტები მარაგდება მოწყობილობით, რბილი და მაგარი ინვენტარით. ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილია 10 მილიონზე მეტი მანეთი.

დიდი ყურადღება ექცევა წელს ადგილობრივი მნიშვნელობის balneologiuri კურორტების კეთილმოწყობას. კაპიტალური რემონტი უკეთდება ნუნისს, ასპინძას, ნასაკირალის, გორისჯვრის და სხვა კურორტების სამკურნალო შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს.

დამსვენებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მოწყობილია კურორტების კულტმუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორთვიანი კურსები. რამდენიმე კულტმუშაკი გამოიგზავნება ლენინგრადში.

საბჭოთა საქართველოს დღე

მოძმე რესპუბლიკების ფეიქართა შეჯიბრება

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ამ დღეებში უმაგალითო შრომითი აღმავლობა ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისის სართავ-საბრეკოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშებმა გადაწყვიტეს მშვიდობის ვაჭტზე დადგნენ და თავიანთი წელილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში. მუშებმა წინადადება შეიტანეს გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება გორის ბამბეულის კომბინატისა და ბაქოს ფაბრიკა „აზტრიკოტაჟის“ კოლექტივებთან.

ამას წინათ კომბინატის კლუბში საზეიმო კრება გაიმართა. მას გორელ ფეიქართა დელეგაციაც ესწრებოდა.

— ვემუბით სოციალისტურ შეჯიბრებაში გორელ და ბაქოელ ფეიქრებთან და მეტრიკოტაჟეებთან, — ამბობს საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კობაძიე. — ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი შრომით განვამტკიცოთ მშვიდობა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომით მოყენებული ჭრილობები მოშუშულნი არ იყო, ჰაერში ისევ დერთის სუნი ტრიალებდა, როცა იმპერიალისტებმა მოიწადინეს ახალი ომის გაჩაღება, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა. მაგრამ მშვიდობის მსოფლიო ბანაკი, დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, უძლეველ ძალად აღიმართა მათ წინ. და ახლა, როცა ომის გამჩაღებელნი ატომურ იარაღს აკრძალულებენ და გამანადგურებელი ომით ემუქრებიან კაცობრიობას, მათ წინააღმდეგ გამოდის მშვიდობის 900-მილიონიანი ბანაკი. გამარჯვება ჩვენ იქნება. ენერგია არ უნდა დავიშუროთ ამისათვის, ძალა და უნარი არ უნდა დავზოგოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

— მეორე სართავ საამქროში, — თქვა ვიქტორ გამყრელიძემ, — სადაც მე უფროსად ვმუშაობ, სამასამდე კაცია. უჩვეულო შრომითი ენთუზიაზმია ამ დღეებში. განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდა მრთველები ვარდო იმერლიშვილი და ალექსანდრა კრასნოშჩოკოვა. თვითეული მათგანი 810-ის ნაცვლად 972 თითისტარს ემსახურება და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. ამიტომ არის, რომ ისინი კომბინატში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობენ. ჩვენ კიდევ უფრო ზეჯიბრად მოვკიდებთ საქმეს ხელს, რათა განვამტკიცოთ მშვიდობა. მის თვითეულ სიტყვაში შრომისადმი დიდი სიყვარული გამოსჭვიოდა. იგი ენერგიული კაცია. 15 წლის წინათ მოვიდა კომბინატში და საინტერესო გზა განვლო. პირველად მანქანის მზეთამად იყო, მერე ქვეოსტატად, ცვლის ოსტატად, კარგა ხნის შემდეგ საამქროს უფროსად დაწინაურეს. თანაც სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, წელს ამთავრებს მეთერთმეტე კლასს.

ამხ. გამყრელიძემ თავისი საამქროს საუკეთესო ახალი ვალდებულებები იკისრა: გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ ხუთი ტონა ნართი, შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე გაადიდონ 3,5 პროცენტით, პირველი ხარისხის ნართი გასულ წელთან შედარებით გამოუშვან 25 პროცენტით მეტი.

აღფრთოვანებით ლაპარაკობდა წინდის საქსოვი საამქროს მუშა ციალა კვირიკაშვილი. მან კონკრეტული ვალდებულებები აიღო: სისტემატურად შეასრულოს საწარმოო ნორმა 135 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებულზე 15 პროცენტის გადაჭარბებით გადიდოს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

ამ დღეებში სართავ-საბრეკოტაჟო კომბინატის დელეგაცია გაეგზავნება გორსა და ბაქოში და გორელ ფეიქრებთან და ბაქოელ მეტრიკოტაჟეებთან გაიფორმებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად თბილისელები კისკულობენ: 1955 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 24 დეკემბრისათვის და ხალხმეურნეობის გეგმის გადაჭარბებით მისცენ 1,8 მილიონი მანეთის პროდუქცია; 28 დეკემბრამდე შეასრულონ ქალის წინდების გამოშვების 1955 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით დაამზადონ 16.100 წყვილ; თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 1955 წელთან შედარებით აამაღლონ 3,5 პროცენტით; შეამცირონ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 1954 წელთან შედარებით 0,1 პროცენტით; გაზარდონ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გასულ წელთან შედარებით 25 პროცენტით, დაზოგონ ელექტროენერგია, 480 მუშას აუმაღლონ კვალიფიკაცია და ა. შ.

კომბინატი (დირექტორი ე. თავაძე) სოციალისტური შეჯიბრების არბიტრობა სთხოვა სსრ კავშირის ფართო მოზარების სარეწველო საქონლის სამინისტროს და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წელი ახალი შრომითი აქტივობით დაიწყო. იანვრისა და თებერვლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გაანაღდა 103,1 პროცენტით, ცალფა ნართის გამოშვებისა — 101,4 პროცენტით, ნაგრეხი ნართისა — 103,6 პროცენტით, მაზ წინდისა — 100,7 პროცენტით, გაზარდა მანქანების ნაყოფიერება, გააუმჯობესა ნართის ხარისხი, დაზოგა 4,8 ტონა ნედლეული. ახლა ისინი აჩაღებენ გორელ და ბაქოელ ფეიქრებთან და მეტრიკოტაჟეებთან სოციალისტურ შეჯიბრებას.

ემზადებიან საგასტროლოდ

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სამღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. გეგეჭკორი) ამჟამად ემზადება შორეულ აღმოსავლეთში საგასტროლოდ გასამგზავრებლად.

ანსამბლის მონაწილეები კონცერტებს გამართავენ კუნძულ სახალინზე, ქალაქებში—ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკში, აგრეთვე უამბირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

ემზადება რა მომავალი გამოსვლებისათვის, ანსამბლის კოლექტივმა საგრძნობლად განაახლა თავისი რეპერტუარი, რომელშიც ფართოდ არის გათვალისწინებული რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, აფხაზური და სსრ კავშირის სხვა ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა გასტანს მიმდინარე წლის აპრილიდან აგვისტომდე.

მეკონსერვეებმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულებაში უკვე მოიპოვეს პირველი მნიშვნელოვანი წარმატება. მათ ორ თვეში — იანვარსა და თებერვალში გაანაღდეს კონსერვების გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა.

1 მარტისათვის მეკონსერვეებმა სამშობლოს კვარტალური გეგმის გადანეტებით მისცეს 654 ცალი პირობითი ქილა კონსერვი და გადაწყვიტეს მარტში დამატებით გამოუშვან კიდევ ერთი მილიონი ქილა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი.

აპრილიდან საკონსერვო ქარხნებში დროებით შეწყდება კონსერვების გამოშვება და დაიწყება მზადება ახალი მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების გამოშვების სეზონისათვის. კონსერვების დამზადების ახალი სეზონი დაიწყება ივნისში. ახალი სეზონის დაწყებამდე ყველა საკონსერვო საწარმოში უნდა დამთავრდეს სარემონტო სამუშაოები, ხოლო ზოგან გაძლიერდეს დანადგართა პარკი ახალი სეზონის განმავლობაში მეტი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად.

კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე

დაბა კუიბიშევი (**კუიბიშევის ოლქი**), 13 მარტი. (საკდესი). ფედოროვკიდან კომსომოლსკამდე ვოლგის მარცხენა ნაპირზე გადაჭიმულია კუიბიშევის ჰესის სანაოსნო სისტემის ქვაბულები და არხები. ახლა აქ მშენებლობის გადამწყვეტი უბანია. მაისში დროებით სანაოსნო არხის ქვედა რაბების მარჯვენა კამერას გაიღლიან ვოლგის პირველი ქარავნები.

არც დღისით და არც ღამით არ ცხრება აქ მოტორების გუგუნი. სამუშაოები ქვედა რაბების კამერებში მიმდინარეობს რვასართულიანი სახლის სიმაღლეზე. ასხამენ ბეტონს, დგამენ არმატურას, ლითონკონსტრუქციებს.

ქვედა სათავო ნაგებობებსა და რაბებთან მისასვლელებს აგებენ მებეტონეები სტალინური პრემიის ლაურეატის ინჟინერ ამხ. კუკიშევის ხელმძღვანელობით. ამ დღეებში დამთავრდა ბეტონის ჩასხმა სამ სათავო ბურჯში. მიმდინარეობს მეოთხე, სანაპირო ბურჯის დაბეტონება. დაიწყო გემების რაბვის ავტომატური მართვის შენობის მშენებლობა. რაბების მისასვლელებზე მთავრდება ნავსაბმელი კედლის პირველი სექციისათვის ქვის ჩაყრის სამუშაოები.

ქვედა რაბებთან მისასვლელ არხში წარმატებით მუშაობს ორი 100-კუბიანი მიწისმწოვი მანქანა. ჰიდრომექანიზატორები აფართოებენ არხის კალაპოტს რაბებთან მისასვლელებზე. ჩაბმულია რა შეჯიბრებაში მშენებლობის ვადების შემცირებისა და მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტის გადიდებისათვის, № 116 მიწისმწოვი მანქანის რაზმმა მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ სამუშაოთა გრაფიკს.

სიახლე კოლმეურნეობათა დაგეგმვის პრაქტიკაში

ოდესა, 14 მარტი. (საკდესი). ლიუბაშევსკის მტს-ის ზონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა მიმდინარე წელს დაგეგმეს მიიღონ 320 ათას ცენტნერზე მეტი მარცვალი — შარშანდელზე ორჯერ და უფრო მეტი. იმისათვის, რომ ასეთი მოსავალი მოიყვანონ, კოლმეურნეობებს დიდი ცვლილებები შეაქვთ სათესი ფართობების სტრუქტურაში.

მათ წელს უარი თქვეს საგაზაფხულო ხორბლის მოყვანაზე, რომელიც მცირე მოსავალს იძლეოდა, ამცირებენ შვრიის ნათესებს და ორი ათას ჰექტარზე მეტით ადიდებენ სიმინდის ნათესებს. 400 ჰექტარით გადიდდება რაიონის ძირითადი ტექნიკური კულტურის — შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი.

მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების საერთო მოსავალს გაადიდებენ არა მარტო სტრუქტურის შეცვლით და ნათესი ფართობების გადიდებით, არამედ აგრეთვე წარმოებაში პროგრესული აგროწესების კომპლექსის ფართოდ დანერგვით.

ახლებურად დაიგეგმება სატრაქტორო სამუშაოები. წელს შაქრის ჭარხლის მთელი ნათესების ნახევარზე გამოიყენებენ მექანიზებულ ბუკეტირებას. მცენარეთა კვადრატულ-ბუდობრივი განლაგება საშუალებას მისცემს კოლმეურნეებს დამუშავება აწარმოონ ორი მიმართულებით, რაც ბევრად გაადიდებს მოსავალს.



რუსთავი. ახალი (წვრილსორტული) დგანის „320“ საერთო ხედი. მარჯვნივ — ამ დგანზე გაგლინული საარმატურე რკინის დატარიხება ყამირის ათვისების რაიონებში გასაგზავნად.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის!

სიმინდი ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურაა

★ ★ ★

ჰექტარები და ცენტნერები

სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად ჩვენს კოლმეურნეობაში ყველა შესაძლებლობა და რეზერვი არსებობს, მხოლოდ საჭიროა მონდომება და საქმისადმი სიყვარული. ამაში ნათლად დამარწმუნა მრავალი წლის პრაქტიკულმა გამოცდილებამ.

სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანა 1941 წლიდან დავიწყე. დაუღალავი შრომით, აგროტექნიკის დანერგვით უხვ მოსავალს ვიღებდი. შემდეგ წლებში უფრო ვაუმჯობესებდი პუშაობას, სრულყოფდი უხვი მოსავლის მოყვანის ხერხებსა და მეთოდებს. 1947 წელს 3 ჰექტარზე 322 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე, ხოლო რგოლმა, რომლის ხელმძღვანელობა მქონდა დაკისრებული, 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. ჩემი შრომა ღირსეულად დაფასდა. სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მომენიჭა. 1948 წელს ყოველ ჰექტარზე 110 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე, ხოლო მთლიანად რგოლმა თვითეულ ჰექტარზე — 72 ცენტნერი. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, გასულ წელსაც სიმინდის უხვი მოსავალი მივიღეთ. როგორ გავწევ ამას? პირველ რიგში საყანე ფართობს ვასუფთავებ ნარჩენი ღეროებისა და სარეველა ბალახებისგან, ვაგროვებ მათ და ვწვავ. პირველი ხვნის დაწყებამდე საყანე ფართობის თვითეულ ჰექტარზე შემაქვს 10 ტონაზე მეტი ნაკელი და ამდენივე შლამი. მიწას ვხნავ 20-22 სანტიმეტრ სიღრმეზე, ვახდენ მის 8-10 სანტიმეტრის სიღრმით ხელახლა გადახვნას, შემდეგ გადაფარცხვას. ვთესავ „აჯამეთის თეთრი“ ჯიშის სიმინდს.

თესვის ვადების დადგენისას ვითვალისწინებ ადგილობრივ პირობებს, სიმინდის მცენარის თვისებებს, სახელდობრ იმას, რომ სიმინდი სითბოს მოყვარული კულტურაა. თესვას ვამთავრებ 20 აპრილისთვის. დათესვის ორი კვირის შემდეგ, როცა მცენარე 2-3 ფოთოლს გაიკეთებს, ნათესს პირველად ვთოხნი. ამ ასაკში მცენარე სუსტია. ამიტომ პირველი დამუშავებისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენ. მეორე თოხნას ივნისის დასაწყისში ვამთავრებ, ხოლო მესამეს — 10 ივლისამდე. მოსავლიანობას ვადიდებ იმითაც, რომ ორჯერ ვაწარმოებ დამტვერვის გამოკვებას წუნწუხით. თვითეულ ძირზე დაახლოებით 300-400 გრამი წუნწუხი შემაქვს.

ამასთან კარგი შედეგი მოგვცა ხელოვნური დამტვერვის განხორციელებამ. ამან მოსავლიანობა ჰექტარზე 5-6 ცენტნერით გაადიდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნათესი ფართობის სწორად დაგეგმვა-გამოყენებას, სიმინდის როგორც ძვირფასი სამარცვლე და საფურაჟე კულტურის მოსავლიანობის ამაღლებას. ამით ჩვენ დიდად შეუწყობთ ხელს მეცხოველეობის განვითარებას.

რგოლი უკვე მზად არის საგაზაფხულო თესვისათვის. სიმინდს დათესავთ 19 ჰექტარზე. ჩვენს რგოლს გადაწყვეტილი აქვს თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი სიმინდი. პირადად ვკისრულობ ჩემთვის მოსავლელად მოჩენილ 2,5 ჰექტარზე მოვიყვანო 250 ცენტნერი სიმინდი. კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 60 ცენტნერ სიმინდს.

ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ გუგეჭკორის რაიონის სოფელ ვედიდკარის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატს სარა გახოკიას. იმედი მაქვს, რომ იგი მიიღებს ჩემს გამოწვევას.

ბ. გვიჩია,

ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

★ ★ ★

ავამაღლებთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მუშაობის სამოქმედო პროგრამაა. რაიონის კოლმეურნეები აუმჯობესებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჯიშობრივ შემადგენლობას, აძლიერებენ პირუტყვის მოვლას, ადიდებენ საკვებ ბაზას.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. კურდღელია). პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მათი განუხრელად განხორციელებისათვის.

მეტი ყურადღება მიექცა მეცხოველეებთან მუშაობას, მათს შერჩევასა და აღზრდას. მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობს კომუნისტი ნ. თოფურია, რომელსაც სათანადო გამოცდილება აქვს. მომვლელებად, მწველავებად და მწყემსებად შერჩეული არიან საქმის მოყვარული, მუყაითი კოლმეურნეები.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თიკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ს. ლაშქარავა). პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ სერიოზული ნაბიჯი გადადგეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. შეიძინეს 19 სული ჯიშიანი პირუტყვი, მათ შორის 6 ძროხა და 3 ტაურა-მწარმოებელი.

პარტიული ორგანიზაცია ყოველდღე ამოწმებს ფერმაში ზოოვეტწესების დაცვის მდგომარეობას. მეცხოველეებთან გამოყოფილი აგიტატორი ლ. ლაშქარავა სისტემატურად ეწევა ქმედით აგიტაციას.

დასახული ამოცანების შესრულებისათვის ენერგიულ მუშაობას ეწევა ინსტრუქტორთა ჯგუფი. ნაყოფიერად მუშაობენ პარტიის ცხაკაიას რაიკომის ინსტრუქტორები მტს-ის ზონაში ბ. გაბუნია, ლ. ყუპრეიშვილი და ე. კვირკველია. ისინი მთელ სამუშაო დღეს კოლმეურნეობებში არიან. მათი დახმარებით მუშაობა გაუმჯობესეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებს. სუსტია კონტროლი მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი. ბევრგან პარტიული ორგანიზაციები სუსტად ნერგავენ მოწინავეთა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებას.

მომავალში ისე მოვაწყობთ მუშაობას, რომ მთელი ძალები დავრაზმოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

ვ. კუჭავა,

საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში.

★ ★ ★

როგორ ვეხმარებით მეცხოველეებს

სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეთა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველა პირობა გვაქვს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

კარგად ვიცით, რომ მარტო პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულება არ წყვეტს საკითხს. მთავარია პროდუქტიულობის დაკალების განადგურება. შარშან ერთგვარი წარმატებანი მოვიპოვეთ. რაიონში მხოლოდ ჩვენმა კოლმეურნეობამ შეასრულა წველადობის გეგმა, სულ უნდა მოგვეწველა 56.000 ლიტრი რძე, ფაქტიურად მოვწველეთ 56.355 ლიტრი. ერთ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 805 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა.

ეს არის პირველი ნაბიჯები. მაგრამ წელს ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუ ჩვენ შევქმნით მტკიცე საკვებ ბაზას, გავაუმჯობესებთ ჯიშობრივ შემადგენლობას, დავიცავთ პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესებს, შეგვიძლია თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა წელს აციყვანოთ 1.000 ლიტრამდე.

სიმინდი საუკეთესო სამარცვლე და სასილოსე კულტურაა. მის განვითარებას წელს სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ. ორი მოსავლის მიღების მიზნით სიმინდს დავთესავთ 7 ჰექტარზე. განზრახულია გვაქვს პირველი მოსავალი გამოვიყენოთ სასილოსედ რძისებრ-ცელისებრ სიმწიფეში, ამავე დროს მწვანე საკვებად, ხოლო მეორეჯერ დათესილი სიმინდიდან მივიღოთ კარგი სასილოსე მწვანე მასა. წელს პირველად დავთესავთ მწვანე საკვებად ირონჯას 2,5 ჰექტარზე. გვაქვს შემოდგომაზე დათესილი 5 ჰექტარი ჭვავი. მას გამოვიყენებთ გაზაფხულზე მწვანე კონვეიერად. შემდეგ ამ ფართობზე დავთესავთ სიმინდს სოიას შერევით, რომელიც საუკეთესო სასილოსე მასა იქნება.

კიდევ უფრო გავადიდებთ სასილოსე საკვების დამზადებას. თუ შარშან გვქონდა 155 ტონა სილოსი, წელს დავასილოსებთ 200-250 ტონას.

კარგი შედეგები გვიჩვენა წველის წინ ცურის მასაჟმა თბილი წყლით. ამასთან განვახორციელეთ ხბოების ხელზე კვება. მეტად მნიშვნელოვანია კვების რაციონის დაცვა. ფერმაში წესად არის შემოღებული, რომ საფურაჟე ძროხა გამოვკვებოთ თავისი წონის, სნოვანების და პროდუქტიულობის მიღების გათვალისწინებით. ჩვენი პირობების მიხედვით დღეში თვითეულ ძროხას, რომელიც ბაგურ კვებაზეა, ეძლევა 5 კილოგრამი კონცენტრირებული საკვები, 3 კილოგრამი ქატო, 2 კილოგრამი კოპტონი, ხოლო დურდო — 7-10 კილოგრამამდე. სილოსი იხარჯება 15-20 კილოგრამი, საკვები ჭარხალი 10-15 კილოგრამი. ამავე დროს მარილს ვაძლევთ საკვებში შერევით 0,05 გრამს, ფერფეკალ. დამატებით ეძლევა ძვლის ფქვილი.

საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს ორ ჰექტარ ყამირ მიწაზე დავთესავთ სიმინდს და მთლიანად გამოვიყენებთ პირუტყვის საკვებად.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ წველადობის გადიდება ბევრად არის დამოკიდებული მომვლელებზე. მაგალითად, ე. ცაავამ შვიდ საფურაჟე ძროხაზე შარშან მოწველა 11.181 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.780 ლიტრისა. მ. ბელქანია უფლიდა 10 ძროხას. სულ მოწველა 14.445 ლიტრი რძე, გეგმა კი 13.513 ლიტრს ითვალისწინებდა. მათი ვალდებულებაა წელს უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ.

ასევე სერიოზულ ყურადღებას დავუთმობთ მეღორეობის განვითარებას. ეს დარგი სწრაფზარდია. ამიტომ საჭიროა მას შეეუქმნათ სათანადო საკვები ბაზა. წელს მიზნად დავისახეთ თვითეულ დედაღორზე მივიღოთ სულ მცირე 14 გოჭი. ფერმასთან შემოვღობავთ 2,5 ჰექტარ ფართობს და დავთესავთ მიწვაშლას, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს მეღორეობაში.

ნაკისრ ვალდებულებებს შეკასრულებთ, საქმით ვუპასუხებთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ნინო ფლენტი,

ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

კოლმეურნეობის რეზერვები

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენს წინაშე ახალი საბრძოლო ამოცანები დასახა. ამისათვის კოლმეურნეობის გამგეობამ აქტივთან ერთად შეისწავლა და გამოაკლინა ის შესაძლებლობანი, რომლებითაც ფართო გზა ეძლევა სიმინდის კულტურას.

გადავწყვიტეთ სიმინდი დავთესოთ 320 ჰექტარზე. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 50 ცენტნერი სიმინდი, 100 ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა. სიმინდს დავთესავთ 20 ჰექტარ ახლადათვისებულ ყამირზე და თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 70 ცენტნერს. კოლმეურნეობა წელს სულ აითვისებს 115 ჰექტარ ყამირ მიწას, რომელზეც სიმინდი დაითესება. ამჟამად მოხნულია 70 ჰექტარი ყამირი. ხვნა მალე დამთავრდება მთელ ფართობზე. თესლი მზად გვაქვს, თესვას 1 აპრილიდან შეუდგებით და მოკლე ვადაში დავამთავრებთ.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით ცალკეულ ნაკვეთებში გატანილია 300 ტონაზე მეტი ნაკელი, სულ კი გავიტანთ რვაას ტონას. კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის ფართობს გამოვკვებავთ აგრეთვე ფოსფორიანი სასუქით. ვიცით, რომ ახლა, გაზაფხულზე, ძირითადად წყდება უხვი მოსავლის მოყვანის ბედი. კარგი შედეგები აქვთ მემინდვრეობის ბრიგადებს, რომლებსაც ბ. გეფენიძე და ა. ვარდია ხელმძღვანელობენ. თვითეულ ბრიგადას ათვისებული აქვს 15-20 ჰექტარი ყამირი. ასეთივე მდგომარეობაა იმ ბრიგადებში, რომლებსაც ი. კონჯარია, შ. ახალაია, გ. კიტია, ხ. ნადარაია ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი, 400 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა იმ ანგარიშით, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ სულ მცირე 700 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა. მაშინ ჩვენ შეგვეძლება კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე მივცეთ 4-5 კილოგრამი სიმინდი და ფულად — 20-25 მანეთი.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა კომკავშირულმა ორგანიზაციამ. კომკავშირულმა ორგანიზაციამ (მდივანი ა. უგულავა) 3 ჰექტარის დამუშავება იკისრა და დადებული აქვს პირობა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 70 ცენტნერი სიმინდი.

კოლმეურნეობა წელს გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად, იკისრა მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი და რაიონის კოლმეურნეობებს მიმართა მოწოდებით შეიმუშაონ ღონისძიებანი პირუტყვის საკვები ბაზის გასაფართოებლად, უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება და მისი პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდება.

გ. ნანეიშვილი,

ხობის რაიონის სოფელ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანეს. სურათზე: კოლმეურნეებს (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ჯოჯუას და ლ. ჯაიანს სიმინდი გაქვთ ყანიდან. (გადაღებულია 1954 წლის შემოდგომაზე).

ცხაკაიასა და ხობის რაიონებში

ეს იყო შარშან

სიმინდის დაბალი მოსავლიანობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჩამორჩენა წლების განმავლობაში „ჩვეულებრივ“ მოვლენად იქცა ცხაკაიას და ხობის რაიონებში. კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ კონცენტრირებული და წვნიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის სიმინდს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ სიმინდს მარცვლად, სილოსად და მწვანე საკვებად დიდი გამოყენება აქვს. გამოცდილი კოლმეურნეები მიგვითითებენ სიმინდის მარცვლის დიდ ყუათიანობაზე.

ეს მართლაც ასეა. ერთი კილოგრამი სიმინდის მარცვლის კვებითი ღირებულება უდრის 1,34 საკვებ ერთეულს, მაშინ როცა 1 კილოგრამ შვრიაში 1 საკვები ერთეულია, ქერში — 1,26, ჭვავში — 1,18.

მაგრამ სიმინდს მაინც არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მეცხოველეობის განვითარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს ცხაკაიას რაიონში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 226,7 ლიტრი რძე. ამ დარგის შეუფასებლობით აიხსნება ის, რომ შარშან ნაქალაქევის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 54 ლიტრი რძე, გეჯეთის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 87,8 ლიტრი რძე. რაიონში ძროხების ბერწიანობაც დიდია.

ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთადერთი კოლმეურნეობაა, რომელმაც თვითეულ საფურაჟე ძროხაზე შარშან 805 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა. მან ას ჰექტარ სახნავ-სათესზე, საძოვრებზე და მდელოებზე მიიღო 100,9 ცენტნერი რძე, ხოლო ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 9 ცენტნერი.

იმის გამო, რომ ძროხები უზრუნველყოფილი არ იყო კონცენტრირებული, წვნიანი და სხვა საკვებით, მოვლა-პატრონობით, ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის, ნაქალაქევის „პრავდის“ სახელობის, გეჯეთის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უფრო ნაკლები რძეა მიღებული, ვიდრე ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის თხამ მოიწველა.

ახლა ასეთი მდგომარეობიდან საჭირო დასკვნებს აკეთებენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა გამგეობები. თებერვალში 19 კოლმეურნეობაში ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს 20-30 ძროხა. ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი მოგვცა. მაგალითად, სოფელ ნოსირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბაგურ კვებაზეა 12 ძროხა. თუ 23 თებერვალს მიღებული იყო 43 ლიტრი რძე, 27 თებერვალს მოწველილია 50 ლიტრი, 1 მარტს — 57, 2 მარტს — 61,5, 3 მარტს — 62 ლიტრი რძე. ასევე ყოველდღიურად იზრდება წველადობა ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის, გეჯეთის მალენკოვის სახელობის, ნოსირის ვოროშილოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

რაიონის კოლმეურნეობებში შარშან კეთილმოწყობილი ბინები აშენდა 1.010 ძროხისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000-სა. სახბორე აშენებულია 450 სულისათვის, სასილოსე კოშკების მშენებლობის გეგმა 167 პროცენტით შესრულდა. წელს უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოებია დაგეგმილი. 1955-1956 წლების ზამთარში საზოგადოებრივი პირუტყვის საჭირო საკვებით უზრუნველყოფისათვის წელს დათესება 1.700 ჰექტარი სიმინდი, სოია, სხვა საკვები კულტურები და ბალჩეული. მნიშვნელოვნად გადიდდება ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა.

გამოცდილებამ გვიჩვენა

სად უფრო მეტი რეზერვებია სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად, მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად?

ამ საკითხზე ცხაკაიას რაიონში უყოყმანოდ გიპასუხებენ: სოფელ თეკლათის, ახალსოფლის, ზემო ჭალადიდის, ძველი სენაკის, ნოსირის, გეჯეთის კოლმეურნეობებშიო. ამ კოლმეურნეობათა ფართობები ნაყოფიერია. ძირითადად მოჰყავთ სიმინდი, სოია. ამის ბაზაზე ყველა პირობა არსებობს მეცხოველეობის განვითარებისათვის. მდინარე ტეხურის ნაპირებზე გადაშლილი ვრცელი ჭალები, კოლხიდის მიდამოები ყოველთვის იყო ქებული სიმინდის მოსავლით. აქ მოიპოვება აგრეთვე მშვენიერი სასუქი — შლამი, არის ადგილობრივი ნაკელი.

მაშ რაშია საქმე. რატომ მოჰყავდათ დაბალი მოსავალი აღნიშნული ზონის კოლმეურნეობებს?

ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ცუდად ამუშავებდნენ მიწებს, არღვევდნენ აგროტექნიკურ წესებს, დაცული არ იყო ამა თუ იმ ნიადაგში კულტურების თესვის დაგეგმვის წესი. ცხადია, ასეთ პირობებში მიწა მოსავალს ვერ მოგვცემს.

მაგალითისათვის ავიღოთ თეკლათის კალინინის სახელობის და ზემო ჭალადიდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობები. ამ ორ მეზობელ კოლმეურნეობაში ერთნაირი პირობებია, მათ მაღალმოსავლიანი მიწები აქვთ. მაგრამ შედეგები სრულიად სხვადასხვაა.

საქმე ის არის, რომ თეკლათელები მუყაითად შრომობენ, თავის დროზე ახორციელებენ სიმინდის მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ფართოდ ნერგავენ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებას. ამიტომ იყო, რომ შარშან, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მაინც მოიყვანეს 16,2 ცენტნერი სიმინდი. შრომადღეზე გაანაწილეს 8,2 კილოგრამი მარცვლეული. აქ მრავალია მოწინავე კოლმეურნე, რომელსაც თითქმის ყოველგვარ ამინდში მაღალი მოსავალი მოჰყავს. მეორე რგოლმა, რომელსაც ვ. ფურწუმია ხელმძღვანელობს, 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 22,5 ცენტნერი სიმინდი, ნ. არჩაიამ — 2,5 ჰექტარზე საშუალოდ 30,8 ცენტნერი. დ. შამათავამ ამდენსავე ფართობზე საშუალოდ 27,5 ცენტნერი მოიყვანა. მაღალი მოსავალი მოიყვანა აგრეთვე კოლმეურნე მ. შაჰათავამ.

მაგრამ ასე როდი იმუშავეს ზემოჭალადიდელებმა. საშუალოდ ჰექტარზე მათ მხოლოდ 9,6 ცენტნერი სიმინდი მიიღეს და თეკლათელებთან შედარებით თვითეულ შრომადღეზე ორნახევარჯერ ნაკლები სიმინდი გაანაწილეს.

ფლევანდელი პერსპექტივები

თეკლათელი კოლმეურნეები აქედანვე ქმნიან პირობებს წელს სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად. გაძლიერეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. 240 ჰექტარიდან მოხნული აქვთ 190 ჰექტარი. ვალდებულებით ნაკისრი აქვთ აითვისონ 35 ჰექტარი ყამირი მიწა. უკვე ათვისებულია 30 ჰექტარი. 1.300 ტონიდან მინდვრად გაიტანეს 500 ტონამდე ნაკელი. მომზადებული აქვთ თესლი.

თეკლათელები ზემოჭალადიდელებს ეჯიბრებიან და იბრძვიან იმისათვის, რომ როგორც შარშან, წელსაც გაიმარჯვონ.

ცხაკაიას მტს-ის კოლექტივი ენერგიულად შრომობს. მექანიზატორებმა საგაზაფხულოდ უნდა მოხნან 3.563 ჰექტარი, უკვე მოხნული აქვთ 2.200 ჰექტარი მზრალის ჩათვლით. კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესავენ 1.000 ჰექტარ სიმინდს, 553 ჰექტარ საკვებ კულტურებს. წელს პირველად განახორციელებენ კორდიანი მიწების განაყოფიერების ღონისძიებას 70 ჰექტარზე. ამ ფართობს 45-50 სანტიმეტრ სიღრმეზე მოხნავენ. აგრეთვე გათვალისწინებულია ხუთ კოლმეურნეობაში კორდიანი მიწების განოყიერება მოტკილვით, 180 ჰექტარზე ბაქტერიოლოგიური სასუქების შეტანა, 1.600 ჰექტარზე სიმინდის ხელოვნური დამტვერვა.

მტს-ი წელს მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაადიდებლად.

სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვთ ხობის რაიონის კოლმეურნეობებს. როგორც აქაური კოლმეურნეები ამბობენ, აქ ისეთი მიწებია, რომლებიც სასუქებსაც კი არ საჭიროებენ. წელს სიმინდი დაიკავებს 6.100 ჰექტარზე მეტ ფართობს. უხვი მოსავლის მოსაყვანად აუცილებელია მკვეთრად ამაღლდეს მექანიზაციის დონე. ხობისა და ქვალონის მტს-ები ჯერ კიდევ სუსტად არიან შეიარაღებული მანქანური ტექნიკით. აკლიათ ტრაქტორები, სათესი მანქანები, გუთნები, განსაკუთრებით ამოსაძირკავი მძლავრი მანქანები. დიდი ფართობებია ამოსაძირკავი.

ამავე დროს ხობის რაიონის პირობებში სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის აუცილებელია დიდი არხების გაწმენდა მანქანებით, არსებული ძველი პატარ-პატარა არხების ამოწმენდა და ახლების გაყვანა.

ხობელი კოლმეურნეები ითვალისწინებენ, რომ დიდი მუშაობა მოელით. ამასთან საჭირო დახმარებასაც მოითხოვენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან. კოლმეურნეებმა ფართოდ გააჩაღეს შემოქმედებითი შრომა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. დღემდე მოხნულია 3.000 ჰექტარამდე სასიმინდე მიწა. შარშან ამავე პერიოდისათვის ამის მესამედიც არ იყო მოხნული.

ხობელები წელს ითვალისწინებენ საკვები ბაზის საგრძნობლად გაფართოებას. ამ მიზნით გამოყოფილი აქვთ 1.060 ჰექტარი მიწა სიმინდისა და სოიის დასათესად. ძირხვენები და ერთწლიანი ბალახები დაითესება 680 ჰექტარზე, სასილოსე კულტურები — 224 ჰექტარზე.

საკვები ჭარხალი რაიონში კარგ მოსავალს იძლევა. მაგრამ იგი აქაურ პირობებში დიდ ტენს იღებს და მალე ფუჭდება. დღემდე არავინ დაინტერესებულა ხობის რაიონის პირობებში საკვები ჭარხლის შენახვის წესების დამუშავებით. ეს საკითხი სათანადო ყურადღების ღირსია.

ცხაკაიას და ხობის რაიონებში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი იმაზე მეტყველებენ, რომ კოლმეურნეთა და მტს-ების მუშაკთა ენერგიული შრომით, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული დახმარებით სავსებით შესაძლებელია სიმინდს, როგორც ძვირფას სასურსათო და საკვებ კულტურას, აღვუდგინოთ თავისი განთქმული სახელი და განუხრელად განვახორციელოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ნ. ჯანჯღავა,
ა. პატარაია.

ავტოტრანსპორტის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის

ავტოტრანსპორტის მუშაობა იზომე-
ტონაკილომეტრაჟის მიხედვით.
ამდენადაც მეტი ტონაკილომეტრია
ულილი, რამდენადაც უფრო იაფი
ვდებოდა თვითეული ტონაკილომეტ-
ი, იმდენად უკეთესია. ამ მაჩვენებ-
ების გაუმჯობესება დამოკიდებუ-
ია ავტომძღოლთა შრომის ნაყოფიე-
ების ზრდაზე, მათი შრომის რაციო-
ლურად მოწყობაზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდი-
ება აქვს „სოიუზზაგოტტრანსის“
ქართველოს რესპუბლიკური ავტო-
ტრესტის კოლექტივს, რომელმაც უკა-
ნასკნელი 3 წლის განმავლობაში დი-
დი წარმატებები მოიპოვა, გადაჭარბე-
თ შეასრულა პარტიის XIX კონ-
გრესის მიერ ავტოტრანსპორტას წი-
ნაშე დასახული ამოცანა, ნაცვლად
80-85 პროცენტისა ტვირთბრუნვა გაა-
ორკეცა 240 პროცენტით. 1952 წელს ამ
რესპუბლიკაში თვითეულმა ავტომანქანამ
ამოიმუშავა 39 ათასი ტონაკილო-
მეტრი, ხოლო 1954 წელს 62 ათასი ტ
ონაკილომეტრი. ეს უდრის სამუა-
ოდ თვითეულია მანქანის ტვირთ-
ადის გადიდებას 59 პროცენტით.
საინტერესოა, რომ ამასთან 1953 წელს
ნა წელთან (1952 წ.) შედარებით
ტონაკილომეტრის თვითღირებულება
შემცირებულ იქნა 4,6 პროცენტით,
ხოლო 1954 წელს 1953 წელთან შე-
დარებით ტონაკილომეტრის თვითღი-
ებულება შემცირდა 26 პროცენტით.
ავტომძღოლთა შრომის ნაყოფიერება
ასევე დროს გადიდებულია 1954
წელს 1952 წელთან შედარებით 56,9
პროცენტით.

„სოიუზზაგოტტრანსის“ რესპუბლი-
კური ავტოტრესტის კოლექტივს მე-
ად მნიშვნელოვანი სახალხო-სამე-
ურნეო ტვირთების გადაზიდვაზე უს-
ნება მუშაობა. იგი მოწოდებულია გა-
ზიოს ხორბალი, შაქრის ჭარხა-
ი, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო
პროდუქტები კოლმეურნეობებიდან
ბაზადებელ პუნქტებამდე. ტრანს-
პორტის მუშაობის შეფერხება აქ გა-
ოიწვევდა მთელ რიგ არასასიამოვნო
ებებს — დანაკარგებს, შაქრის
ქარხლის გადამმუშავებელი საწარმოს
ალცენას და სხვ.

ავტომანქანის სრული გამართულო-
ბის საკითხი, როგორც ცნობილია,
ადგება სახელოსნოში მისი შეკეთების
დროს. ჩვენი პირველი ლონისძიე-
ბა იყო დაგვერაზმა შემკეთებელ მუ-
შათა ბრიგადები და აგვემაღლებინა
მათი პასუხისმგებლობა მანქანის მა-
ღალხარისხოვნად შეკეთებისათვის.
ტრესტის სამეურნეო ხელმძღვანე-
ლობს ამ მხრივ დიდი დახმარება გაუ-
წია ადგილობრივმა პარტიულმა და
პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.
ათ დარაზმეს მუშები, საქმეს სათავე-
ი კომუნისტები ჩაუყენეს, გააჩაღეს
სოციალისტური შეჯიბრება, ქარგად
ოაწყეს აღრიცხვა და ყოველივე ამით
ეხმარეს ავტომანქანების ტვირთ-
ადის ზრდას. ეს ფაქტიური მზადყოფნის კოეფი-
ციენტის ამაღლება 101,2 პროცენტამ-
დე, დაგროვების გეგმის შესრულება
102,7 პროცენტით. ამის შედეგი იყო,
რომ გასული წლის მეოთხე კვარტა-
ლის შედეგების მიხედვით ამ ტრესტის
ოლექტივს საკავშირო პროფსაბჭომ
და სსრ კავშირის დამზადებათა სამი-
ნისტრომ მიაკუთვნა საკავშირო სო-
ციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვე-
ულის ადგილი და მე-სამე ფულადი
პრემია.

ავტომანქანის გამართულობა და
მთელი საავტომობილო პარკის ტექნი-
კური მზადყოფნის კოეფიციენტის
ამაღლება არ კმარა იმისათვის, რომ
გადაზიდვათა გეგმები წარმატებით
შესრულდეს და ტონაკილომეტრის
თვითღირებულება შემცირდეს. აქ გა-
დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტო-
მძღოლების დაოსტატებას, მათს კვა-
ლიფიკაციას. ამ მხრივაც ჩვენ მთელი
რიგი ღონისძიებანი განვახორციელეთ.
მთავარი ყურადღება მივაქციეთ იმას,
რომ მოწინავე ავტომძღოლთა გამოცდილება სხვებისთვის გაგვეზიარებინა,
საერთო საკუთრებად გადაგვექცია.
მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებამ კარგი შედეგი მოგვცა.

თბილისის ავტობაზის მძღოლმა
ი. ისაგულოვმა თავისი მანქანით 30
კალენდარულ დღეში 409 ტონა ხორ-
ბალი გადაზიდა და 14.590 ტონაკილო-
მეტრი გამოიმუშავა. მისი მაგალითი-
სამებრ საუკეთესო მაჩვენებლებს მი-
აღწევენ ავტომძღოლებმა — ა. ნანუა-
შვილმა, ბ. საჩკოვმა, დ. კვანტრი-
შვილმა, დ. ვარდიაშვილმა, გ. კუპრა-
შვილმა, თბილისის, გორის, წნორის,
მარნეულის და მთელი რიგი სხვა ავ-
ტობაზების ათობით მოწინავე ავტო-
მძღოლებმა.

ეს მოწინავე ავტომძღოლები, გარ-
და იმისა, რომ კარგად უვლიან მათ-
თვის მინდობილ მანქანებს, ამავე
დროს ოსტატურად იყენებენ გზას
რელიეფის თავისებურებას, უფრო-
თხილდებიან მატერიალურ ნაწილს
და აღწევენ საწვავის ეკონომიას, ახან-
გრძლივებენ სტურავების ამორტიზა-
ციის ვადას.

„სოიუზზაგოტტრანსის“ რესპუბლი-
კური ავტოტრესტის კოლექტივს მეტი
მიღწევები ექნებოდა, რომ მოგვეხერ-
ხებინა მუშაობაში არსებული მთელი
რიგი ნაკლოვანებების აღმოფხვრა.
მთავარი ნაკლი ის არის, რომ ყველა
ავტობაზაში არ არის სათანადო სი-
მაღლეზე დაყენებული პარტიულ-პო-
ლიტიკური და მასობრივ-კულტურუ-
ლი მუშაობა, დაბალია შემკეთებელი
სახელოსნოების მუშებისა და ზოგი
ავტომძღოლის კვალიფიკაცია, ვერ
მოვაწესრიგეთ შემხვედრი გადაზიდ-
ვების საქმე, რათა ამით ავამაღლოთ
თვითეული ავტომანქანის დატვირთვის
კოეფიციენტი.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებ-
ლად, აგრეთვე თვითეული ავტომანქა-
ნის სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვა-
ნად უკვე დასახული გვაქვს ღონის-
ძიებები და ვფიქრობთ, რომ ამ ღონ-
ისძიებათა განხორციელებით შეეძ-
ლებთ მუშაობის გადაჭრით გაუმჯობე-
სებას, ტვირთზიდვის გეგმების მეტი
გადაჭარბებით შესრულებას. ამაში
დაგვარწმუნა იანვარ-თებერვლის გან-
მავლობაში მიღებულმა შედეგებმა. ამ
ორი თვის გეგმა ტრესტის კოლექტივ-
მა ტონაჟის მიხედვით შესრულა 115
პროცენტით, ხოლო ტონაკილომეტრე-
ბის მიხედვით — 117,9 პროცენტით.

ა. ჭიჭინაძე,
„სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს
ავტოტრესტის მმართველი.

ოჩამჩირის რაიონში

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

დღითიდღე სულ უფრო მშვენდება ოჩამჩირე. ახლა რაიონის ცენტრის მოსაფალტებული ქუჩების გაყოლებით ჩამწკრივებულია მარადმწვანე ხეები, ყვავილნარები. უკანასკნელ წლებში აიგო საწარმო-დაწესებულებათა მრავალი კაპიტალური შენობა, აშენდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. წელს დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ცენტრის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. მალე დამთავრდება რაიონული კულტურის სახლის მშენებლობა.

კოლმეურნეობის კანტორის ახალი შენობები

სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც მეჩაიეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია მთელ აფხაზეთში, დამთავრდა კოლმეურნეობის კანტორის ახალი კაპიტალური ორსართულიანი შენობის აგება. გარდა სამუშაო ოთახებისა, ახალ შენობაში არის 450-ადგილიანი საკლუბმეურნეო კლუბი კინოდანადგარით, ბიბლიოთეკა, კულტურული გართობისა და წრეების სამეცადინო ოთახები, რადიოკვანძი. წელს ასეთივე მშენებლობა დაიწყება სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მუშათა საცხოვრებელი სახლები

ოჩამჩირის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდა ორი საცხოვრებელი სახლი. წელს დამთავრდება კიდევ ერთი სახლის მშენებლობა. საცხოვრებელი სახლები აშენდება აგრეთვე ახალი კინდღისა და ქოჩარის ჩაის ფაბრიკებისა და ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ოჩამჩირელმა მშრომელებმა შარშან სახელმწიფოსაგან 312 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი მიიღეს. ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლები აიშენა 50-მდე მშრომელმა, მათ შორის მასწავლებლებმა ნ. ცხადაძემ, ა. კაციამ, ა. არჭელიამ, აგრონომმა ა. კვირტიამ, მექანიკოსმა შ. სელემოლლიმ, მძღოლმა ა. ავილოვმა, რკინიგზელმა ჩ. ჭკადუამ, ვეტექიმმა გ. შუბითიძემ და სხვ. წელს შენდება 60-მდე ინდივიდუალური სახლი.

დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს

ოჩამჩირის რაიონში მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა 1954 წელს სახელმწიფოსაგან მიიღეს 1.634.627 მანეთი დახმარება. რაიონში 12 გმირი დედაა. სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრმა, 12 შვილის დედამ ბიგვავამ მარტი 1954 წელს დახმარების სახით 6.075 მანეთი მიიღო. სოფელ მოქვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მანიცა თარბამ, რომელიც 13 შვილის დედაა, გასულ წელს სახელმწიფოსაგან 6.300 მანეთი მიიღო, ხოლო 12 შვილის დედამ, სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა თამარ ქარდავამ სახელმწიფოსაგან მიიღო 8.300 მანეთი, აქედან ერთდროული დახმარების სახით 2.500 მანეთი.

ვ. დოხნაძე.

ახალი საბავშვო ბაღი

ბორჯომი. (საკ. კორრ.). ამ დღეებში სოფელ ახალდაბაში გაიხსნა საბავშვო ბაღი, რომელიც გათვალისწინებულია 50 ბავშვისათვის.

საბავშვო ბაღი მოთავსებულია კარგ შენობაში, უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, ჰაეგს აღმზრდელთა კვალიფიციური კადრები. ბაღი მომსახურებას უწევს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შვილებს.

მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისათვის

თბილკვებვაჭრობამ მუშაობა უნდა გარდაქმნას

საბჭოთა ვაჭრობა მიზნად ისახავს მშრომელთა მოთხოვნილებების რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილებას. სწორედ ამიტომ სავაჭრო აპარატის ჯანსაღი მუშაობა დიდმნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

თბილკვებვაჭრობის სისტემაში ცოტა როდია კარგად, გამართულად მომუშავე მაღაზიები, რომლებიც ყოველმხრივ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნებს, მაგრამ შეიძლება ითქვა, ამ მიღწევებს იქით ზოგიერთი დამახინჯება არ შეგვენიშნა.

ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ფაქტებს ჩვენი დედაქალაქის ძირითადი სავაჭრო ობიექტებიდან.

თბილკვებვაჭრობის ქსელში ჯერ კიდევ არის მომხმარებელთა წონაში მოტყუებისა და ხურდის დაუბრუნებლობის შემთხვევები. მაგალითად, რკინიგზის მუშათა მომარაგების № 33 მაღაზიის გამყიდველმა გ. ეგანოვმა მოქალაქეს ნახევარი კილო თევზის ნაცვლად 435 გრამი აუწონა. მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 12 მაღაზიის გამყიდველმა ლ. გონჩაროვამ ა. აბაჯანიანს 1 კილოგრამ შაქარზე 20 გრამი დააკლო და არ დაუბრუნა ხურდა 6 კაპიკი. ამავე სისტემის № 2 მაღაზიის გამყიდველმა ნ. სიროზნიშვილმა მომხმარებლებს დააკლო 1 კილოგრამ შაქარზე 50-75 გრამი. მარცხენა ნაპირის № 53 მაღაზიის (გამგე ნ. დუდაშვილი) გამყიდველმა ე. ქიტესოვმა 1 კილოგრამი კანფეტის გაცემისას მომხმარებელს 20 გრამი დააკლო.

გარდა წონაში მოტყუების შემთხვევებისა, ვხვდებით ზოგიერთი მაღაზიის გამყიდველის, გამგისა და დირექტორის თვალთმაქცურ მოქმედებას — პროდუქტების გადამალვას სპეკულაციის მიზნით. ნაცვლად იმისა, რომ მაღაზიის დირექტორებმა და გამგეებმა სასტიკი კონტროლი დააწესონ თავიანთი მაღაზიების მუშაობაში, ასინი, პირიქით, ზოგჯერ ხელს უწყობენ ვაჭრობის წესების დარღვევას. მაგალითად, მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 40 მაღაზიაში (გამგე ვ. სახებლიძე) დიდ უმსგავსოებას ჰქონდა ადგილი. გამყიდველ მ. გეგანდოვს დახლის ქვეშ აღმოაჩნდა პროდუქტები: შაქარი 5 კილოგრამი, უფაქტურო ძეხვი „პოლონური“ 1200 გრამი, რომელიც თითქოს „სხვამ“ მიაბარა. უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავს განცხადებებს კიდევ შევხვდით. საფიქრებელია, რომ ასეთ საფარს იქით სპეკულაციის ფესვები იმალება. ესეც რომ არ იყოს, დაუშვებელია მიბარებული საქონლის შენახვა მაღაზიაში.

ამავე მაღაზიაში კითხვაზე — გაქვთ თუ არა კარაქი — გვიპასუხეს: გვქონდა და სულ გაიყიდაო. სინამდვილეში გამგეს საწყობში გადამალული აღმოაჩნდა მთელი ყუთი—20 კილოგრამი — უმაღლესი ხარისხის კარაქი, გარდა ამისა კიტრის წნილი 4 ქილა, თითო სამკილოგრამიანი.

25 კილო და 400 გრამი კარაქი გადამალული ჰქონდა აგრეთვე მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 37 მაღაზიის გამგეს ვ. ივანიანს. 4 კილოგრამი და 500 გრამი კარაქი „შემონახული“ ჰქონდა მარცხენა ნაპირის № 98 მაღაზიის გამგეს ა. გამბაზაშვილს.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ, სამწუხაროდ, ვაჭრობის ყველა მუშაკს როდი აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა. სავაჭრო ქსელის პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ ზერელედ იბრძვიან სავაჭრო სისტემის მუშაკთა მორალური სიწმინდისათვის.

ზოგიერთი მაღაზია და კიოსკი ნახევრად სასადილო-სასაუზმედ არის გადაქცეული, მაშინ როცა მათს ფუნქციას ეს სულაც არ შეადგენს, პირიქით, მაღაზიაში მაგარი სასმელებს გაყიდვა და იქვე დალევა აკრძალულია. რედაქციაში შემოსულ საჩივრებში მხილებული იყო მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 40 მაღაზია. გვატყობინებდნენ, მაღაზიაში ხშირად თვრებიანო. მართლაც, შემოწმებისას გამყიდველი პ. ჯღარკავა გარეშე მოქალაქეებთან ერთად შეექცეოდა ღვინოს. მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 75 კიოსკში (გამგე ი. ჯოხაძე, გამყიდველი ნ. ჯოხაძე) 11 თებერვალს რვა მოქალაქე ქეიფობდა. ნახევრად სასაუზმედ გადაქცეულია აგრეთვე მარცხენა ნაპირის № 102 მაღაზია (გამგე ა. საფაროვი).

ჯერჯერობით ისევ მოუგვარებელ საკითხად რჩება მაღაზიებში სანიტარული წესრიგის დამყარება. მაგალითად, მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 19 მაღაზიაში (დირექტორი დ. კალანდაძე) აუწერელი უსუფთაობაა. თაროები მტვრისაგან გაშავებული იყო. თავლია კასრებში თევზი ეყარა ფიცრებთან და მარილას შეკვრებთან ერთად.

სავაჭრო ქსელის მტკივნეული საკითხების გამოაშკარავება იმაზეც მეტყველებს, რომ ზოგჯერ მხოლოდ კონტროლი როდი შველის საქმეს. კონტროლი იმ შემთხვევაში აღწევს შედეგს, თუ მას თან ახლავს დახმარება, რჩევა-დარიგება და სხვ. საჭიროა ამ მხრივ სავაჭრო სისტემას კარგად რეგულირება. მაგალითად, პროდუქტმიწოდებელი საწარმოები მწვავედ განიცდიან ცარიელი ყუთების — ტარის უქონლობას. შემოწმებისას კი თითქმის ყველა მაღაზიაში დაგროვილი იყო ტარა. როცა მაღაზიის დირექტორებსა და გამგეებს ვუსაყვედურებთ ტარის დაგროვების გამო, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტარის გატანისათვის საჭიროა ტრანსპორტის ნორმალური მომსახურება. მაშასადამე, ტარის გატანა მარტო მაღაზიის დირექტორსა და გამგეზე როდია დამოკიდებული.

ავიღოთ თუნდაც ქალალდით მომარაგების საქმე. მომხმარებლის კულტურული მომსახურება თითქმის წარმოუდგენელია ისეთი ელემენტარული პირობის დაუცავად, როგორიც არის პროდუქტების ქალალდში შეფუთვა. ქალალდით მომარაგების მხრივ კი ჭსელში არანორმალური მდგომარეობაა. როგორც გამოირკვა, ზოგჯერ დახლის მუშაკები აძულებულნი არიან კერძოდ შეიძინონ ქალალდი. მაგალითად, მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 19 მაღაზიის გამყიდველმა ა. მიქაელიანმა განაცხადა: „შესახვევ ქალალდს არ გვაძლევენ, ძალებული ვიყავი კერძოდ შემეძინა. 4 თებერვალს ვიყიდე 3 კილოგრამი ქალალდი, რაშიც გადავიხადე 7 მანეთი და 50 კაპიკი“.

ნაკლოვანებებით ხასიათდება პროდუქტების განმანაწილებელი ბაზების მუშაობაც. განმანაწილებელ ბაზებში პროდუქტების მაღაზიებისათვის გადაცემისას უნდა ითვალისწინებდნენ, რა მოცულობისაა ესა თუ ის მაღაზია, დაიტევს თუ არა მისი საწყობი გაცემულ პროდუქტებს. პროდუქტების განაწილებისას საჭიროა იმის გათვალისწინებაც, თუ სად არის მაღაზია, კიოსკი, სავაჭრო პუნქტი. ნავთლულში სამგორის ქუჩაზეა № 98 მაღაზია. იქ კაპიტალური რემონტი დაიწყოთ, პროდუქტები გამოეტანათ და უთავბოლოდ დაეყარათ მეზობელ პატარა ოთახში. სწორედ ამ დროს მაღაზიაში დამატებით მოიტანეს გასაყიდი პროდუქტები. განმანაწილებელ ბაზაში რატომ არ გაითვალისწინეს, რომ მაღაზიაში რემონტი მიმდინარეობდა? ამასთან სატვირთო მანქანაში არეულად ეყარა სურსათი, რომელიც სანახევროდ დაფარული იყო ჭუჭყიანი ნაჭრით. ტვირთმზიდავებს ხალათები არ ეცვათ.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და ვაჭრობის სამინისტრომ უნდა იზრუნონ ვაჭრობას სპეციალისტთა, გამყიდველთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ახალგაზრდა, გამოუცდელ მუშაკებთან. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კულინარიული სკოლა ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. საჭიროა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებანი, მოწინავეთა გამოცდილების გაცნობა და სხვ.

ამ ღონისძიებათა გათვალისწინება და თბილკვებვაჭრობის სისტემაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება სავაჭრო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა.

რედის მონაწილენი:
ი. გაჩეჩილაძე,
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.
კ. კაფანაძე, გ. მარუაშვილი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბიანი ხშირად მთვრალი ცხადდება სამსახურში, გულისხმიერად არ ეკიდება მშრომელთა მოთხოვნებს. ყოველივე ამის გამო იგი სოფლის მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობს,— სწერდა რედაქციას სოფლელი.

წერილი ზემოთ მისაღებად საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომს გადაეგზავნა. რაიკომის მიიროს დადგენილებით გ. პ. გაბიანი გათავისუფლებულია მშრომელთა დეპუტატების ჩიხარეშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ერთი დღე თბილისის თეატრებში

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების
ბაზე მდგომი მაღალი ამოცანების
ასრულებისათვის, ჩვენი თეატრების
ოპერეტიერის ქმედითუნარიანობის
ასარჩუნებისათვის დასახულ მთელ
ოგ მნიშვნელოვან ღონისძიებებთან
ერთად, საჭიროა განსაკუთრებული
ყურადღებით და გულისყურით
ეკიდოთ რიგითი სპექტაკლების
დეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის ბრძოლას.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების მანძილზე არაერთი და
ბრი სპექტაკლი, არა ერთი და ორი
ეტენიური სახე გაზრდილა და სრულ-
ყოფილი გამხდარა მაყურებლის თვალ-
ში, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ზოგჯერ ჩვენი თეატრების
ცენაზე წარმატებით განხორციელე-
ული სპექტაკლს დაუკარგავს თავისი
ორგანდელი სახე. ეს გამოწვეულია
ამით, რომ თეატრის ხელმძღვანელობა
და მთელი კოლექტივი პირველი სპექ-
ტაკლის შემდეგ აღარ ზრუნავენ ან
აქცევენ ყურადღებას აქცევენ რიგითი
სპექტაკლების როგორც მხატვრულ-
ფორმიდებითს, ისევე ტექნიკურ მხა-
ეს, რაც იწვევს სპექტაკლის მხატ-
ვრული დონის დაქვეითებას.

სპექტაკლის დაშლა, დარღვევა, რა
ამა უნდა, უარყოფით გავლენას ახ-
ენს მის იდეურ მხარეზე და ამა-
ვე დროს თეატრს უკარგავს მაყუ-
ებელს, ანელებს მაყურებლის სი-
ყვარულს თეატრისადმი. მართლაც რა
ეაშავა იმ მაყურებელმა, რომელიც
ბრემიერის დღეებში ვერ დაესწრო
სპექტაკლს და ამჟამად, ვთქვათ, მეასე
ერ ამოდგენას ნახულობს? ეს მეასე
ერამოდგენა ხომ გაცილებით უფრო
ადაღ დონეზე უნდა იდგეს პირველ
სპექტაკლებთან შედარებით?! სამწუ-
ხაროდ ამ ელემენტარულ ჭეშმარი-
ტებას ივიწყებენ ზოგიერთი თეატრები
და მაყურებელს სთავაზობენ შედარე-
ით დაბალი ხარისხის სპექტაკლებს.

საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო
ამოკიდებულება ხელს უშლის ჩვენი
თეატრალური ხელოვნების წინსვლისა
და აღმავლობის საქმეს. ამიტომ ეს სა-
კითხი — რიგითი სპექტაკლების და-
ცვისათვის ბრძოლა მთელი ჩვენი შე-
მოქმედებითი კოლექტივების, თეატ-
რალური საზოგადოებრიობის და თა-
ეატრალური კრიტიკის გადაუდებელ
საბრძოლო ამოცანად უნდა იქცეს.

სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ჩვენი
რესპუბლიკის პრესა არასოდეს არ უბ-
რუნდება უკვე განხილულ სპექტაკლს,
ცალკეულ როლსა და მის შემსრულე-
ბელს, ე. ი. არ აშუქებს რიგითი სპექ-
ტაკლების მდგომარეობის საკითხს, მა-
შინ როცა ცენტრალური ჟურნალ-გა-
ზეთების ფურცლებზე რიგითი სპექ-
ტაკლების მაღალი მხატვრულობისა-
თვის ბრძოლას ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი ადგილი უკავია.

სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო
და მისასალმებელი საქართველოს ხე-
ლოვნების მუშაკთა სახლის ახალგა-
ზრდა თეატრმცოდნეების სექციის მიერ
გაწეული მუშაობა. რიგითი სპექტაკ-
ლების მდგომარეობის შესწავლისა და
შემოწმების მიზნით სექციის წევრები
ერთ დღეს დაესწრნენ თბილისის თეა-
ტრების მიერ წარმოდგენილ სპექტაკ-
ლებს, რის შედეგადაც ხელოვნების მუ-
შაკთა სახლში მოეწყო ფართო-საჯარო
განხილვა — „ერთი დღე თბილისის
თეატრებში“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ განხილ-
ვაზე თეატრმცოდნეებმა თავიანთ მოხ-
სენებებში ყურადღება გაამახვილეს
უმთავრესად ისეთ მნიშვნელოვან,
სპეციალურ საკითხებზე, რომლებიც
სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

რუსთაველის სახელობის თეატრის
მიერ წარმატებით განხორციელებული
სპექტაკლი „დონ სეზარ დე-ბაზანი“
მეორე წელია დიდი სიყვარულით სარ-
გებლობს მაყურებელთა შორის. თავის
დროზე მან დადებითი შეფასება მიიღო
ჩვენს პრესაში. მაგრამ როგორც მომ-
ხსენებელმა თ. ჯანელიძემ აღნიშნა,
პირველი სპექტაკლიდან დღემდე „დონ
სეზარ დე-ბაზანმა“ განიცადა ცვლი-
ლებანი — როგორც დადებითი, ისევე
უარყოფითი მიმართულებით — და ეს
განსაკუთრებით შეეხება მსახიობთა
შესრულებას. მსახიობმა თ. თარხნი-
შვილმა გარკვეული მუშაობის შედე-
გად გააუმჯობესა მარიტანას რთული
სცენიური სახე, მაშინ როცა ამ სპექ-
ტაკლის სხვა მთავარი როლების
შემსრულებლებს (ვ. გეგეჭკორი და
სხვ.) ზრდა არ ემჩნევათ. მიღწეულს
ისინი რატომღაც საკმარისად თვლიან.
სპექტაკლის ანსამბლს ეთიშება დონ
ხოზეს როლის ახალი შემსრულე-
ბელი (გ. კიკნაძე). ამის მიზეზი კი ეს
არის, რომ მსახიობი შეყვანილ იქნა
სპექტაკლში მოგვიანებით (პირველი
შემსრულებლის თეატრიდან დროე-
ბით წასვლის გამო), ხოლო ამავე დროს
რეჟისურამ სათანადოდ ვერ მოამზადა
იგი ამ როლისათვის.

მომხსენებელმა მ. ჩხეიძემ აღნიშნა,
რომ მაყურებელს სურს მარჯანიშვი-
ლის სახელობის თეატრის სცენას დიდ-
ხანს შერჩეს სპექტაკლი „ქაცია-ადამია-
ნი?!“, რომელშიც ვ. გოძიაშვილმა შექ-
მნა ლუარსაბ თათქარიძის ბრწყინვალე
სცენიური სახე. ეს გარემოება კიდევ
უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკის-
რებს სპექტაკლის დანარჩენ მონაწილე-
ებს, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულ
რიგითს წარმოდგენაზე მაყურებელთა
დაკვირვებულმა თვალმა და მახვილმა
სმენამ შენიშნა, თუ როგორ დაირღვა
სპექტაკლში მსახიობთა ურთიერთდა-
მოკიდებულების სისტემა. ამაზე მეტ-
ყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მსა-
ხიობი ვ. გოძიაშვილი ხშირად შეახსე-
ნებს ხოლმე პარტნიორებს (ე. ასლამა-
ზაშვილს, ც. წუწუნავას და სხვებს)
დავიწყებულ ტექსტს, რათა გამოიყვა-
ნოს ისინი უხერხული მდგომარეობი-
დან. ამის გამო ვ. გოძიაშვილს მეტად
დაძაბულ პირობებში უხდება მუშაობა.
აგრეთვე, აღინიშნა, რომ სპექტაკლის
მასობრივი სცენების მონაწილენი არ
აფასებენ სცენაზე მომხდარ ამბებს,
მოვლენებს და უმოქმედო მასად რჩე-
ბიან, ერთმანეთთან გარეშე თემაზე სა-
უბრით არიან გართულნი. გარდა ამისა,
სპექტაკლის ახალი მხატვრული გაფორ-
მება (კ. ხუციშვილი და გ. გიგაური) ნაკ-
ლებად შეეფერება ილია ჭავჭავაძის
მიერ აღწერილ თათქარიძეების კარმი-
დამოს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ
რამდენიმე წლის წინათ იმავე რეჟისო-
რის (ვ. ყუშიტაშვილი) მიერ დადგმული
სპექტაკლი გაცილებით უკეთესად გა-
მოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ
ამავე ინსცენირებით იყო დადგმული.

განხილვაზე ხაზგასმით იყო აღნიშ-
ნული, რომ მოზარდ მაყურებელთა თეა-
ტრები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ
თავიანთი თეატრის სპეციფიკას, სათა-
ნადოდ არ ზრუნავენ რეპერტუარის
შერჩევისათვის და ახალგაზრდა მაყუ-
რებელს ზოგჯერ სთავაზობენ აღმზრ-
დელობით მნიშვნელობას მოკლებულ,
მხატვრულად მდარე ნაწარმოებებს.
ამიტომ ამ პიესებს მეტად ხანმოკლე
სიცოცხლე უწერიათ სცენაზე. ამის გა-
მო მოზარდ მაყურებელთა თეატრებზე
წაკითხულ მოხსენებებში განსაკუთრე-
ული ადგილი დაეთმო დრამატურგიულ
ნაწარმოებების განხილვას.

მოზარდ მაყურებელთა ქართული
თეატრის სპექტაკლის შესახებ მომხსე-
ნებელმა ნ. გურაბანიძემ დასაბუთებუ-
ლად გააკრიტიკა ა. გომიაშვილის პიე-
სა „ეს მოხდა მოსკოვში“, როგორც
დრამატურგიულად სუსტი ნაწარმოები,
რამაც განაპირობა სპექტაკლის წარუ-
მატებლობა.

მოზარდ მაყურებელთა რუსული
თეატრის სპექტაკლის „ღალატის“
დამდგმელმა რეჟისორმა ნ. მარშაკმა
სცადა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის პი-
ესის ახლებურად წაკითხვა. ამ მიზნით,
თქვა მომხსენებელმა რ. სისორდიამ,
მან პიესას დაუმატა პროლოგი და ეპი-
ლოგი, ამასთანავე შეიყვანა ახალი
პერსონაჟი, წინა პლანზე წამოსწია
ხალხურობისა და ხალხთა მეგობრო-
ბის მებრძოლი ტრადიციები. ამ ჩანა-
ფიქრმა სპექტაკლში ვერ ჰპოვა სათა-
ნადო მხატვრული ხორცშესხმა. ამას
დაემატა ისიც, რომ მთავარი როლე-
ბის შემსრულებლების უმრავლესობა
გაჰყვა ყალბ რომანტიკულ გზას.

მუსიკალური კომედიის თეატრმა
რიგითი სპექტაკლი „რაც გინახავს,
ვეღარ ნახავ“ კარგ მხატვრულ დონეზე
წარმოადგინა. აღინიშნა ისიც, რომ
უკანასკნელ ხანებში დასახელებული
თეატრი შესამჩნევად ისწრაფვის მა-
ღალმხატვრულობისაკენ. თუმცა რო-
გორც სამართლიანად აღნიშნა მომ-
ხსენებელმა ე. დავითაიამ, სპექტაკ-
ლში ჯერ კიდევ ჩანს ამ თეატრისათ-
ვის წარსულში დამახასიათებელი მავ-
ნე ჩვევები — პარტერში მსხდომ მა-
ყურებელთა ჩათვალიერება, იმპროვი-
ზაციის შეტანა ტექსტსა და მოქმედე-
ბაში და სხვ.

განხილვაზე წარმოდგენილი იყო აგ-
რეთვე მოხსენება ზ. ფალიაშვილის სა-
ხელობის ოპერისა და ბალეტის თეატ-
რის სპექტაკლზე „დონ-კიხოტი“ (მომ-
ხსენებელი გ. ბარამიძე) და გრიბოე-
დოვის სახელობის თეატრის სპექტაკლ-
ზე „პროკურორის ქალიშვილი“ (მომხ-
სენებელი ლ. ცაგარეიშვილი).

განხილვაზე დიდი ადგილი დაეთმო
თეატრებში ქართული სალიტერატურო
ენის და მეტყველების მაღალი კულ-
ტურის საკითხს. ჩვენს ახალგაზრდა თა-
ობას დიდი მისწრაფება აქვს მიბაძოს
საყვარელ მსახიობებს. ამიტომ თეატ-
რებს და განსაკუთრებით კი მოზარდ
მაყურებელთა თეატრებს დიდი პასუ-
ხისმგებლობა ეკისრებათ ენის სიწმინ-
დის დაცვისათვის.

აღნიშნული იყო ერთი შეხედვით თით-
ქოს წვრილმანი, მაგრამ სპექტაკლის

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებანი

ვენა, 14 მარტი. (საკდესი). დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭომ პრეს-კონფერენცია მოაწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს 11-13 მარტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა იზაბელა ბლუმმა განაცხადა, რომ ბიუროს განიხილა ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მსოფლიო კამპანიის გაჩაღებისა და 1955 წლის 22-29 მაისს ჰელსინკში მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწყობის საკითხი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცეთავმჯდომარემ არტურ ლონდკვისტმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებმა ატომური იარაღის გამოყენების შესახებ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმებმა, ატომური იარაღის წარმოებაში ინგლისის ჩაბმამ და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა მოქმედებამ შორეულ აღმოსავლეთში მკვეთრად გააძლიერა ატომური ომის საფრთხე. ამიტომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამოცანაა დარაზმოს მთელი მსოფლიოს ხალხები ატომური ომის გაძლიერებული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდეგ გამოქვეყნდა ბიუროს სხდომაზე მიღებული დოკუმენტები:

მშვიდობის მსოფლიო ასამგლეისათვის

ახლა ატომური ომის აშკარა საფრთხე მოელის ყოველ ქვეყანას, ყოველ სახლს, ყოველ ადამიანს. ნაცვლად იმისა, რომ ატომის ენერგია კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ, ატომური იარაღის მარაგს აგროვებენ; ნაცვლად იმისა, რომ განიარაღდნენ, ახალ საშიშარ ბლოკებს ქმნიან; ნაცვლად იმისა, რომ მოლაპარაკება აწარმოონ და შეთანხმებას მიაღწიონ, იმუქრებიან და სიძულვილს აღვივებენ.

მაგრამ მუქარასა და ძალის პოლიტიკას ომი მოსდევს და არა მშვიდობა. გერმანიის ხელახლა შეიარაღება, ტაივანის რაიონში შექმნილი ვითარება, ხალხთა დამოუკიდებლობის ხელყოფა ყველგან ამწვავებს განხეთქილებას და აძლიერებს შემფოთებას. ამ გზას რომ გავყვეთ, ვერავინ ვერ მიიჩნევს, რომ მას საშიშროება არ მოელის.

ეს მდგომარეობა აუტანელი გახდა ყველა ადამიანისათვის. ისინი ზიზღით უარყოფენ აზრს ატომური იარაღის საშუალებით მასობრივი ყლეტის შესახებ.

ხალხებმა მთელი ენერგიით, რამდენადაც კი უნარი შესწევთ, უნდა მოითხოვონ, რომ მოისპოს ატომგულის იარაღი, მოითხოვონ საყოველთაო განიარაღება, უშიშროება ყველასთვის, თვითეული ერის სუვერენიტეტისა და უფლებების პატივისცემა.

ისახავს რა ამ მიზნებს, მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებს წარმომადგენლებს შეიკრიბონ 22 მაისს ჰელსინკში მსოფლიო ასამბლეაზე, რათა თავისუფლად განიხილონ მშვიდობისათვის ბრძოლის გადაუდებელი საკითხები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განცხადება

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა, რომელიც მოუწოდებს ხალხებს მიაღწიონ იმას, რომ მოისპოს ატომური იარაღი და შეწყდეს მისი წარმოება, ყველა ქვეყანაში შეგნებას უღვიძებს ყველას, ვისაც აწუხებს გამანადგურებელი ომის შესაძლებლობა. ეს მიმართვა შეესაბამება იმათ იმედებს, ვისაც სწამს, რომ ხალხებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ატომური იარაღით ადამიანთა მასობრივი ყლეტა.

ჩვენ მივესალმებით ყველა ორგანიზაციას, ყველა საზოგადო მოღვაწეს, ყველა ადამიანს, რომელნიც ამა თუ იმ ფორმით იბრძვიან ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

ატომური ომის საფრთხე კიდევ უფრო აშკარა გახდა. სახელმწიფო მოღვაწეები თერმოატომგულის იარაღის გამოყენებით იმუქრებიან. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობებმა, რომლებსაც ჯერ არ მოეპოვებათ ეს იარაღი, მიიღეს გადაწყვეტილება მისი წარმოების შესახებ ან განიხილავენ ამ საკითხს. არის ცდები გაამართლონ ამ საშინელი იარაღის გამოყენება ან მშვიდობის საწინდრად დასახონ იგი, მაშინ როცა ნამდვილად ეს იარაღი აძლიერებს აგრესიის საფრთხეს და შეუძლია მხოლოდ ნგრევა და სიკვდილი მოუტანოს ადამიანებს.

ხელმოწერის შეგროვების კამპანია საშუალებას იძლევა საყოველთაოდ დაგმობილ იქნას ატომური იარაღი ისეთი ძალით, რომელიც საკმარისი იქნება, რათა მიღწეულ იქნას, რომ ყველა მთავრობა, რომელსაც ეს იარაღი აქვს, დათანხმდეს მის მოსპობაზე მტკიცე კონტროლით. ასეთი შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საყოველთაო განიარაღების გზაზე.

ხალხებს შეუძლიათ იმდენად მტკიცედ გამოთქვან ეს დაგმობა, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს მის უგულებელყოფას.

* * *

შემდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრებმა პასუხი გასცეს ავსტრიელი და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ შეკითხვაზე.

კარლ მარქსის საფლავი ლონდონში გვირგვინებით შეამკეს

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ, კარლ მარქსის გარდაცვალების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინებით შეამკეს მისი საფლავი ლონდონის ჰაიგეტის სასაფლაოზე. საფლავი გვირგვინებით შეამკეს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების სახელით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით გვირგვინი მიიტანა სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში ი. ა. მალიკმა.

ხელმოწერის შეგროვება ვენის მიმართვაზე

პორეიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

ფხენიანი, 15 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ეხმაურებიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ფხენიანში ვენის მიმართვას უკვე მოაწერა ხელი 193 ათასმა კაცმა. ჩრდილოეთ ფხენანის პროვინციაში შეგროვებულია 226 ათასზე მეტი ხელმოწერა.

ხელმოწერის შეგროვება გრძელდება.

ავსტრია

ვენა, 15 მარტი. (საკდესი). როგორც ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭო იუწყება, ავსტრიაში წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერის შეგროვება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე. დღემდე შეგროვებულია 200 ათასზე მეტი ხელმოწერა.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 14 მარტი. (საკდესი). პრესის ცნობებით, სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში კვლავ მეტად დაძაბულია. საომარი მოქმედება მთავრობის ჯარებსა და რელიგიური სექტების შეიარაღებულ რაზმებს შორის გრძელდება.

გაზეთი „ლუმანიტე" წერს, რომ გააფთრებული ბრძოლებია საიგონის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ რაიონში სექტა „ხოა-ხაოს" რაზმების წინააღმდეგ იბრძვის ნგო დინ დიემის არმიის 30 ბატალიონზე მეტი. გაზეთი აცხადებს, რომ ამჟამად ნგო დინ დიემის მთავრობა კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის ნახევარზე ნაკლებს.

ნგო დინ დიემის რეჟიმს, წერს გაზეთი, მხოლოდ დოლარებით ინარჩუნებენ.

ამ რეჟიმის შედეგია სამოქალაქო ომი, ანარქია და მოსახლეობის მასობრივი ცემა, რაც სულ უფრო ძლიერდება. ასეთი მდგომარეობას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელიც შეასრულებს ქვეყნის შეთანხმებებს და რომელსაც ემრჩევა ხალხის მხარდაჭერა.

ლაოსის მთავრობისა და პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების სარდლობის პოლიტიკური კონფერენციის განცხადება

პეკინი, 14 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო ხანოიდან იუწყება:

ლაოსიდან მიღებული ცნობით, ერთობლივ განცხადებაში, რომელიც გამოსცა ლაოსის მეფის მთავრობისა და პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების სარდლობის დელეგაციათა პოლიტიკურმა კონფერენციამ, ლაოსის მეფის მთავრობამ ვალდებულება იკისრა არ დაუშვას, რომ გამეორდეს რაიმე მტრული მოქმედება და განსაკუთრებით სამხედრო თავდასხმა პატეტ-ლაოს შეიარაღებულ ძალებზე.

განცხადებაში ნათქვამია: „კონფერენციას მიაჩნია, რომ ორივე მხარის სარდლობამ უნდა მისცეს ინსტრუქცია მის განკარგულებაში მყოფ ოფიცრებსა და ჯარებს შეწყვიტონ ყოველგვარი მტრული მოქმედება და განსაკუთრებით სამხედრო თავდასხმა რომელიმე მხარეზე.

ითვალისწინებს რა მისწრაფებას, რომ წარმოებულ იქნას მოლაპარაკება და დაიწყოს თანამშრომლობა ორივე მხარეს შორის, კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ეს ერთობლივი განცხადება ხელსაყრელ პირობებს შექმნის კომისიის ჩამოსაყალიბებლად, რათა მოეწყოს პოლიტიკური მოლაპარაკება ყველა პოლიტიკური საკითხის მოსაწესრიგებლად, რომლებიც ორივე მხარეს ეხება".

ჟ. სმისლოვისა და ე. გელერის გამარჯვება

გუშინ მოსკოვში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში დამთავრდა საბჭოთა კავშირის XXII ჩემპიონატი ჭადრაკში. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ჟ. სმისლოვი.

ე. გელერი.

ოცმა რჩეულმა მოჭადრაკემ ბრძოლა მწვავედ დაიწყო. ეს იმისაც განაპირობა, რომ XXII ჩემპიონატი მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტის გამოსავლინებელ ზონალურ ტურნირს წარმოადგენდა. წელს გეტებორგში გაიმართება საზონთაშორისო ტურნირი, რომელშიც გროსმაისტერების დ. ბრონშტეინისა და ბ. კერესის გარდა (ეს მოჭადრაკეები და ამერიკელი ს. რეშევსკი, როგორც შეიცალრის 1953 წლის ტურნირის პრიზიორები, პერსონალურად არიან დაშვებულნი) მონაწილეობას მიიღებენ XXII ჩემპიონატში პირველ ოთხ ადგილზე გამოსული საბჭოთა მოჭადრაკეები.

პირველობის დასაწყისში ოდესელმა გროსმაისტერმა ე. გელერმა დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, მაგრამ შემდეგ ტურში გელერზე გამარჯვებით სპორტის მოყვარულ საზოგადოებას თავი გააცნო მზარდმა მოჭადრაკემ 18 წლის ბორის სპასკიმ. მომდევნო ტურებში გროსმაისტერების ი. ავერბახისა და მ. ტალიანოვის დამარცხებით ბ. სპასკიმ მოპოვებული წარმატება განმტკიცა. ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევდა წინ გროსმაისტერი ვ. სმისლოვი. მეცხრე ტურში იგი ლიდერი გახდა. თითქოს სმისლოვს უზრუნველყოფილი ჰქონდა ჩემპიონობა, მაგრამ ფინიშთან წააგო შეჯვედრა გ. ილივიცკისთან, რის შემდეგ კვლავ ე. გელერი დაწინაურდა.

უკანასკნელ ტურში მსოფლიოს ჩემ[illegible] მ. ბოტვინიკმა [illegible] ლო ვ. სმისლოვისა და მ. ტალიანოვის [illegible] ლინგლად [illegible] მნიშვნელობა [illegible] და ვ. ანტონინ[illegible] და ე. გელერის [illegible] ტიას, რომელიც [illegible] მარტს არ დამ[illegible] რებულა და [illegible] დო ვ. ანტონინ[illegible] თვის პოზიციაზ[illegible] უპირატესობით.

გუშინ გაიმ[illegible] გადადებული [illegible] ტიების გათამაშ[illegible] ვ. ანტონინისა [illegible] ე. გელერის პა[illegible] 81-ე სვლაზე დამთავრდა ვ. ანტონინის მარჯვებით.

გროსმაისტერებმა ვ. სმისლოვმა და ე. ელერმა თორმეტ-თორმეტი ქულით გაიყვეს პირველი და მეორე ადგილი. ჩემპიონის [illegible] სავლინებლად უახლოეს ხანში ამ ორ მოჯ[illegible] რაკეს შორის გაიმართება მატჩი ექვსი [illegible] ტიით.

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგ[illegible] ლები თერთმეტ-ნახევარ-თერთმეტნახევარი [illegible] ლით გაიყვეს მ. ბოტვინიკმა, ტ. პეტროსიანმ[illegible] გ. ილივიცკიმ და ბ. სპასკიმ.

ამრიგად, გეტებორგის საზონთაშორისო [illegible] ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ექვსი [illegible] ჭოთა მოჭადრაკე — დ. ბრონშტეინი, ს. კ[illegible] სი, ე. გელერი, ტ. პეტროსიანი, გ. ილივიცკ[illegible] ბ. სპასკი. ამ ტურნირში პირველ ექვ[illegible] გილზე გამოსულნი და ვ. სმისლოვი 1956 წ[illegible] ერთმანეთს შეხვდებიან მატჩ-ტურნირში. [illegible] გამარჯვებული 1957 წელს მსოფლიო ჩემ[illegible] ნის წოდების მოსაპოვებლად ითამაშებს მ[illegible] მ. ბოტვინიკთან.

თ. ბიოლგაკ[illegible]
ოსტატობის კანდიდატ[illegible]

ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის წინ

„ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები საბჭოთა კავშირის XVII ჩემპიონატისათვის ემზადებიან. გუნდების უმრავლესობა შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზეა. აქ ისინი სისტემატურად ვარჯიშობენ, ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ.

სოჭში წვრთნას გადიან ლენინგრადის „შრომითი რეზერვების", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და სტალინოს „შახტიორის" გუნდები. გუდაუთაში იმყოფება ლენინგრადის „ზენიტი", ბათუმში — მოსკოვის „ტორპედო", გაგრაში — კიევის „დინამო", ლესელიძეში — მოსკოვის „დინამო".

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის დინამელები ვარჯიშობენ სოხუმში. 10 მარტს თბილისელებმა ადგილობრივ გუნდებთან გამართეს ორი შეხვედრა. პირველმა შემადგენლობამ [illegible] უგო სოხუმის „დინამოს" ანგარიშით 2:0, [illegible] რე შემადგენლობამ — „ტრუდს" 16:0.

კვირას თამაშობდნენ დინამოელთა ძირითადი და დუბლშემადგენლობები. გაიმარჯვა პირველმა შემადგენლობამ 2:0, თბილისის „დინამო" მარტს ამხანაგური შეხვედრას გამართავს [illegible] კოვის „ტორპედოსთან", 20 მარტს — მოსკ[illegible] „დინამოსთან", 23 მარტს — ლენინგრ[illegible] „ზენიტთან".

მინსკის სპარტაკელებმა პირველი ამხან[illegible] რი შეხვედრები გამართეს თავის მოედანზე [illegible] რითადმა შემადგენლობამ ვილნიუსის „ს[illegible] ტაკს" მოუგო ანგარიშით 3:0, დუბლშემ[illegible] გენლობამ — 4:3.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზის შეთანხმებათა მომავალი განხილვისათვის

პარიზი, 14 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში კვლავ დაძაბული ბრძოლაა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის გამო და, კერძოდ, რესპუბლიკის საბჭოში მომავალი კამათის ვადის გამო. ფორის მთავრობა დაეინებით მოითხოვს, რომ კამათი პარლამენტის მეორე პალატაში დაიწყოს 22 მარტს. მაგრამ რესპუბლიკის საბჭოს წევრთა ნაწილი წინააღმდეგია ასეთი სიჩქარისა იმ გადაწყვეტილების განხილვის დროს, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს საფრანგეთისათვის.

ყოველკვირეული „პერსპექტივი" აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბჭოს ზოგიერთი წევრის პოზიციაზე გავლენას ახდენს არჩევნების ვადის მოახლოება და ის ფაქტი, რომ ფრანგი ხალხის მასები მკვეთრად გმობენ მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში. „იმ სენატორებს, რომლებიც მალე უნდა წარსდგნენ ამომრჩეველთა წინაშე, — წერს ყოველკვირეული, — არა სურთ პასუხისმგებლობა იკისრონ და ამ (პარიზის) შეთანხმებათა მიწონებით" მხარი დაუჭირონ გერმანიის შეიარაღებას", ყოველკვირეულის სტატიით, საფრანგეთის პარლამენტარია განწყობილებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ის, რომ მწვავდება უთანხმოება დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთს შორის საარის საკითხზე.

პრესის მთელი რიგი ორგანოები აღნიშნავენ საფრანგეთის საზოგადოებრიობის შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ხაზს გადაუსვამდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

„საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა და პარიზის შეთანხმებათა ტექსტების შედარება, — წერს გაზეთი „ტრიბუნ დე ნასიონი", — ნათლად მოწმობს, რომ ისინი აბსოლუტურად შეუთავსებელია".

დასავლეთ გერმანელი რევანშისტების შეიარაღების წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო მოძრაობის ზრდა შეშფოთებას იწვევს პარიზის შეთანხმებათა მომხრეებში, რომლებიც მუქარასა და შანტაჟს მიმართავენ, რათა ზეგავლენა მოახდინონ რესპუბლიკის საბჭოს მერყევ წევრებზე. „ფიგარო" და ზოგიერთი სხვა მემარჯვენე გაზეთი, იმეორებენ რა ამერიკისა და ინგლისის პროპაგანდის თეზისებს, ცდილობენ დააშინონ ფრანგი პოლიტიკოსები იმის მტკიცებით, რომ თუ საფრანგეთმა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმების მხარდაჭერაზე უარი თქვა, თითქოს მას „საერთაშორისო იზოლაცია" მოელოდეს.

ამავე დროს ძლიერდება უხეში ზეგავლენა ამერიკისა და ინგლისის დიპლომატიისა, რომელიც ცდილობს ყოველგვარი საშუალებით აიძულოს რესპუბლიკის საბჭო დაუყოვნებლივ დამტკიცოს პარიზის სამხედრო შეთანხმებანი.

გაზეთი „კომბა" კომენტარს უკეთებს ჩერჩილის ცნობილ წერილს, რომელზეც ამას წინათ ილაპარაკა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტუან პინემ, და აღნიშნავს, რომ ეს წერილი შეიცავს უპრეცედენტო მუქარას, რაც ეწინააღმდეგება დიპლომატიურ ჩვეულებებს. „ამრიგად, — წერს „კომბა", — შანტაჟი გრძელდება და ცდილობენ აიძულონ საფრანგეთი დამორჩილდეს".

გაზეთი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბჭოს „საფრანგეთისათვის განსაკუთრებული შედეგების გამოუწვევლად შეუძლია გადადოს დისკუსია, რომელშიც მას თავისუფლად და სუვერენულად შეუძლია განსაზღვროს თავისი პოზიცია მხოლოდ იმ შემოწვევამი, თუ ექნება ყველა მონაცემი განსახილველი პრობლემების შესახებ".

გაზეთი „ლიბერასიონი" აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ. „რესპუბლიკის საბჭოს, — წერს გაზეთი, — გადაწყვეტის თავისუფლება რომ მიანიჭონ, ესე იგი უცხოელები რომ ზეგავლენას არ ახდენდნენ მასზე, არავითარი შანსი არ იქნებოდა იმისა, რომ პარიზის შეთანხმებებს დაამტკიცებდნენ მათი ახლანდელი სახით.

მაგრამ ერთი დღეც არ გადის ისე, რომ შეერთებული შტატების საელჩოს ემისრებმა არ მოაგონონ ედგარ ფორს, რომ დალესს „ლოდინი არ უყვარს". ამაში ახალი არაფერია". გაზეთი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ ბრმად ემორჩილებიან ამერიკის დიქტატს.

ამერიკის შეერთებული შტატები აიარაღებენ თავიანთ საჭელიჭებს

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). 14 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა მორიგი მოხსენება 1954 წლის მეორე ნახევარში უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის პროგრამის (ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისა და სატელიტების შეიარაღების პროგრამა. — რედ. შენიშვნა) შესრულების შესახებ.

ეიზენჰაუერის მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი უცხო სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ

მოხსენების ცნობებით, ამ პროგრამით ასიგნებული თანხების უდიდესი ნაწილი სამხედრო მიზნებს მოხმარდა. სულ 1949 წლის ოქტომბრიდან 1954 წლის დეკემბრამდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვა ქვეყნებს მიაწოდეს 10,5 მილიარდი დოლარის სამხედრო საჭურველი, მათ შორის 6 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 36 ათასზე მეტი ტანკი, 36 ათასზე მეტი ქვემეხი და სხვ.

1954 წლის მეორე ნახევარში აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებულ ძალებს ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაეგზავნა 700 მილიონი დოლარის იარაღი და საჭურველი. სულ 1949 წლიდან ამ კატეგორიის ძიწოდება შეადგენდა დაახლოებით 7,5 მილიარდ დოლარს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამალებული შეიარაღების თავს მოხვევის შედეგად ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრმა ევროპის ქვეყნებმა თავიანთი სამხედრო ხარჯები აიყვანეს წლიურ დონემდე დაახლოებით 11 მილიარდ დოლარამდე.

მორეულ აღმოსავლეთის 1949 წლიდან მიაწოდეს 1,9 მილიარდი დოლარის სამხედრო მასალები. მოხსენების ცნობებით, 1954 წლის მეორე ნახევარში სამხედრო დახმარების მოცულობა გაუდიდდა ჩანკაიშელთა ხროვას ტაივანზე და ლისინმანელებს სამხრეთ კორეაში.

მოხსენებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უდიდებენ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას იმ ქვეყნებს, რომლებიც მათი განზრახვით უნდა შევიდნენ იმ აგრესიულ ბლოკში, რომელსაც ამჟამად ახლო აღმოსავლეთში აკოწიწებენ. ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1954 წელს გაიზარდა სამხედრო „დახმარება" თურქეთის მთავრობისადმი.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პაკისტანი „ყოველ ღონეს ხმარობს" სამხედრო ღონისძიებათა დარგში.

მოხსენების ცნობებით. მიმდინარე საფინანსო წელს, რომელიც 1955 წლის 30 ივნისს მთავრდება, ახლო აღმოსავლეთს, აფრიკასა და სამხრეთ აზიას მიაწოდებენ 383 მილიონი დოლარის სამხედრო საჭურველს.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1954 წლის მეორე ნახევარში სამხედრო დახმარების დარგში გეზი აღებულ იქნა კაპიტალისტური სამყაროს „ეკონომიურად სუსტად განვითარებულ რაიონზე". განმარტავენ რა ამ ქვეყნებისადმი ამერიკელ იმპერიალისტთა გადიდებულ ინტერესს, მოხსენების შემდგენლები აღნიშნავენ: „სუსტად განვითარებული ქვეყნები, ერთად აღებულნი..., წარმოადგენენ უმნიშვნელოვანესი მინერალების და ნედლეულის დიდ წყაროს დედამიწაზე და ამ ქვეყნებში განლაგებულია ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო „ბაზები". მოხსენებაში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდეს ეკონომიურ მიღწევებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე. ამ ქვეყნებს, ჩვენან მოხსენების შემდგენელნი, შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ „კომუნისტური გზა მათთვის სწრაფი ეკონომიური პროგრესის მიღწევის საუკეთესო გზაა".

მოხსენების ავტორები აშკარად შეშფოთებული არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირის „სულ უფრო მეტი კონკრეტული წინადადება შემოაქვს იმის შესახებ, რომ ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაეწიოს სუსტად განვითარებული ქვეყნების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას" ნამდვილად სამართლიან პირობებში.

იდენის მომავალი ვიზიტი თურქეთში

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი) როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისი „დაჩქარებული წესით" განიხილავს თურქეთ-ერაყის პაქტთან შეერთების საკითხს. ამასთან დაკავშირებით დიდ ყურადღებას აქცევენ თურქეთში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის მომავალ სამი დღის ვიზიტს, რომლის დროს იგი თურქეთის ხელმძღვანელებთან განიხილავს თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირში ინგლისის შესვლის საკითხს.

ცნობიდან ირკვევა, რომ, ესწრაფვის რა შეუერთდეს ამ პაქტს, ინგლისს სურს ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების დერონსირების შემთხვევაში „ახალი ურთიერთობა" დაამყაროს ერაყთან და ამით შეინარჩუნოს თავისი პოზიციები ამ ქვეყანაში.

ცნობაში აღნიშნულია, რომ იდენი თურქეთის პრემიერ-მინისტრთან განიხილავს „თურქეთ-ერაყის პაქტთან ლიბანის, ორდანიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების შეერთების პერსპექტივებს".

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობა მოწმობს, თურქეთ-ერაყის პაქტის გარდა, იდენი ანკარაში განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ანკარაში თურქეთის, საბერძნეთისა და იუგოსლავიის ამასწინანდელ თათბირთან, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სბჭოს მომავალ თათბირთან, აგრეთვე ბანდუნგში (ინდონეზია) ახლისა და აფრიკის ქვეყნების მომავალ კონფერენციასთან.

ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲘᲪᲘᲐᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ფაუსტი და ვალპურგის ღამე, **რუსთაველის სახელობის** — ესპანელი მღვდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის**— ძოგზაურობის წლები, **სომხური დრამის** — სასიძოები, **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აღარ გაიმეორებს (აბონემენტი № 16, 4 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — პოლკის შვილი (10 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, **კომკავშირელი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ცივი ზღვა, **სპარტაკი, თბილისი** — ავარა (I და II სერია), **კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **კოლხიდა** — სახიფათო ბილიკები და თეთრი ფაფარი, **26 კომისრის სახელობის** — შიშის საფასური (I და II სერია), **დიდუბე** — ფანფატულპანი, **კომუნარების ბაღი** — თეთრი ფაფარი და აურზაური, **კიროვის სახელობის პარკი** — სახიფათო ბილიკები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ქარიშხალი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲘᲠᲙᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ

მრავალფეროვანი დიდი საცირკო წარმოდგენა

„ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘ"

მსახიობ **ᲔᲚᲕᲘᲜᲐ ᲔᲚᲕᲘᲡᲘᲡ**

ხელმძღვანელობით

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 20 მარტს

ᲓᲦᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲓᲔᲜᲐ

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № № 1 და 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელიუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაშვებიან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ აცხადებს კონკურსს სამეცნიერო ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე უცხო ენებში (ინგლისური ან გერმანული) ასპირანტებისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელზე. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა და სამეცნიერო ხარისხის დიპლომის პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საბუთები მიიღება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში (თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8).

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲗ ᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲖᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმ